პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 193 (1934) შაბათი, 22 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## ბათუმის ნავსადგურის რიტმები



საწარმოო-გადასაცვლელი კომპლექსი ერთ-ერთი ძირითადია ბათუმის საზღვაო ნავსადგურში. მისმა კოლექტივმა 128,4 პროცენტით შეასრულა ხუთწლედის მეორე წლის პირველი ნახევრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

დამკვრელურად იშრომეს დოკერებმა, რომლებიც გემების განტვირთვის პირდაპირი ვარიანტით მუშაობენ. მათ უზრუნველყვეს მუშაობის რიტმი.

კომპლექსის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულოს.

სურათებზე: დიდნაყოფიერი შრომის მაგალითს უჩვენებს 1-ლი ბრიგადის ხელმძღვანელი ნუგზარ ორბელაძე; ბათუმის ნავსადგური: მუშაობის ზუსტი რიტმი.

ი. შლამოვისა და მ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დიდი პედსაბჭო

ახლა ჩვენს სკოლაში მდელვარე მოლოდინით აღსავსე დღეებია. ლამის მიიწურა ხალისიანი, შინაარსიანი საზაფხულო არდადეგების დრო და სადაცაა საზეიმოდ ჩამოკრავს სექტემბრის ზარი. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ახალი სასწავლო წლისათვის პედაგოგთა საქმიან სამზადისს მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები დააკვირგვინებს, რომლებიც წინ უძღვის მასწავლებელთა საკავშირო კრებას. 24-29 აგვისტოს ტრადიციულ, მაგრამ მუდამ განუმეორებელ დიდ პედაგოგიურ საბჭოზე მასწავლებლები თავიანთ ფიქრსა და მოსაზრებებს, თავიანთ გულისნადებს გაუზიარებენ ერთმანეთს.

მართლაც რომ, განსაკუთრებული, ღრმა შინაარსის შემცველია აგვისტოს ეს ექვსი დღე ჩვენი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელებისათვის, რომლებისთვისაც მუშაობის უმთავრესი ორიენტირია XXVII კრებლობის ისტორიული გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივნისის პლენუმების მითითებანი.

სახალხო განათლების ორგანოების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების საპატიო ვალია მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის.

ცხოვრებისათვის, შრომისათვის ნორჩი თაობის მომზადების საქმეში ყველაფერი მნიშვნელოვანია — იქნება ეს, ვთქვათ, პროფესიული ორიენტაცია, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლიანი სწავლების ხარისხი თუ სკოლის სასადილოს მუშაობის ორგანიზაცია. რადგან აქ ხდება ახალგაზრდა ცვლის იდეურ-ზნეობრივი ჩამოყალიბება.

აგვისტოს თათბირისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რეკომენდაციებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მიმდინარე წელს პედაგოგიური კონფერენციები ეწყობა განსაკუთრებულ ვითარებაში, როცა სკოლა, მთლიანად სახალხო განათლების სისტემა იწყებს გზას ახალი პედაგოგიური აზროვნებისაკენ. სკოლის საქმიანობის ამოცანებს მკაცრად განსაზღვრავს დღევანდელობის გაზრდილი მოთხოვნები, მოწოდება — აამაღლოს მოზარდი თაობის ცოდნის, შრომითი აღზრდის, მოსწავლეთა თვითმმართველობის დონე, ოვისებრივად ახალ საფუძვლზე აიყვანოს ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საქმე. ამ დიდი პედაგოგიური საბჭოს დღის წესრიგი — „სკოლის გარდაქმნას — თანამედროვე მოთხოვნათა დონე" — სწორედ აღნიშნულმა სულისკვეთებამ განაპირობა.

რესპუბლიკის პედაგოგები ამ ტრადიციულ კონფერენციებზე ღრმად და კრიტიკულად გააანალიზებენ სკოლის რეფორმის რეალიზაციის სამი წლის შედეგებს თითოეულ ქალაქსა და რაიონში იმ კრიტერიუმებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივნისის პლენუმებმა რომ განსაზღვრეს. ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ივნისის პლენუმზე თქვა: „შევუდექით რა საშუალო და უმაღლესი სკოლის რეფორმას, ჩვენ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით განათლების თანამედროვე სისტემის შექმნის გზაზე. ყოველივე ეს ავლენს გარდაქმნის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების ახალ რეზერვებს".

გარდაქმნა სკოლაში ნიშნავს პედაგოგიური მეცნიერების წინმსწრაფ განვითარებას, მეცნიერებისა, რომელსაც აქვს უნარი შეაიარაღოს მასწავლებელი სწავლების მოწინავე, ნოვატორული მეთოდებით, შეასრულოს პროგნოზისტის ფუნქცია სახალხო განათლების გაუნუყვეტელი სრულყოფის პირობებში.

გარდაქმნა გულისხმობს სკოლისა და საზოგადოებრიობის ურთიერთკავშირის გაძლიერებას. ამ ურთიერთობის რეალური ნიადაგზე დაფუძნებას, მის ახალ თვისებრივ რანგში აყვანას, იმის შეგნების განმტკიცებას, რომ აუცილებელია საზოგადოებრიობა საბოლოოდ და მთლიანად შემობრუნდეს სკოლისაკენ, რომ სკოლაში უნდა დამკვიდრდნენ ნიჭიერი, თავისი საქმის მოყვარული პედაგოგები, რომ ოჯახი და სკოლა საბოლოოდ უნდა გადავიდნენ „თანაარსებობის" პოლიტიკიდან ურთიერთთანამშრომლობაზე.

აგვისტოს კონფერენციებზე გაბედულად უნდა აღინიშნოს სკოლაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული ბიუროკრატიზმი. უნდა ითქვას სახელმძღვანელოებზეც, რომლებიც, გარდა იმისა, რომ თანამედროვეობას ჩამორჩნენ, დღევანდელ მოთხოვნებს იმიტომაც ვერ უპასუხებენ, რომ ნაკლებად ითვალისწინებენ მოსწავლის პიროვნების ფორმირებას.

როცა კონფერენციებზე სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს განიხილავენ, დაუფარავად, გაბედულად უნდა ითქვას, თუ რამდენად შეუფერება ისინი შინაარსით და მეთოდიკურად თანამედროვე სკოლის გარდაქმნის სულისკვეთებას, სასწავლო გეგმებზეც უნდა გამოთქვან აზრი.

წარმოების ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ, ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიის დაჩქარებულმა ათვისებამ განაპირობა ქვეყნის ყველა შრომელის, პირველ რიგში კი ახალგაზრდობის შრომითი, პოლიტექნიკური მომზადების აუცილებლობა. ამ დიდი მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტას სკოლა ვერ შეძლებს მხოლოდ სახელმძღვანელოთი და სასწავლო თვალსაჩინოებით, ამიტომ სკოლა არ უნდა მოსწყდეს ნამდვილ წარმოებას. მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად უნდა ჩაეღრმავდეს თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიას.

გაბედულად უნდა აღინიშნოს რეფორმის შემაფერხებელი მიზეზიც. იმათაც უნდა შეეწონ, ვინც მხარი ვერ აუბა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ". სწორედ ამასთან დაკავშირებით აღინიშნა გაზეთ „უჩიტელსკაია გაზეტასადმი" მიცემულ ინტერვიუში ამხანაგმა ვ. ი. პატიაშვილმა: „...დადგა დრო, მეურნეობის მუშაკებმა ანგარიში ჩაბარონ თვით განათლების მუშაკებს, სასურველია, რომ აგვისტოს კონფერენციების ტრიბუნებიდან მათ თვითკრიტიკულად და უფრესად სერიოზულად გააკეთონ ეს. საჭიროა კოლექტიური აზრის შემუშავება, კაბინეტური გადაწყვეტილების დრო წავიდა".

სასწავლო წლის ზღურბლზე პარტიულმა კომიტეტებმა ყურადღებით უნდა შეაფასონ ის, თუ როგორ ასრულებენ სამინისტროები და უწყებები, საწარმოები, კოლმეურნეობები, მშენებლობები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს დამრიგებლობის, შრომითი აღზრდის ორგანიზაციისათვის, აუცილებელი ტექნიკით უზრუნველყოფისათვის და სხვა. ადგილობრივმა საბჭოებმა ყურადღებით უნდა გააანალიზონ ამომრჩეველთა განაწესის შესრულება, რომელიც მოზარდი თაობის მასწავლებელთა ინტერესებს ეხება. მასწავლებელს ხომ უდიდეს პატივს მიაგებს საზოგადოებრიობა. პარტია და მთავრობა ნიადაგ ზრუნავენ მისი ნაწილისებისათვის, სტიმულირებისათვის, პრესტიჟისა და ავტორიტეტის ზრდისათვის. ზრუნავენ მისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ადგილებზე ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

საპარლამენტო არჩევნებზე მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 64 ახალი სასკოლო შენობის კარი გაიღება საზეიმოდ 29414 მოსწავლისათვის. ამ დღეს 1500-ზე მეტი ახალგაზრდა მასწავლებელი შეხვდება თავის აღსაზრდელებს, დროულად გამოიცა 89 დასახელების სახელმძღვანელოები, რომლებსაც უფასოდ მიიღებენ ყველა ასაკის ყმაწვილები.

დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა იმის უპირველესი საწინდარია, რომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყოველმხრივ მობილიზებულნი შეხვდნენ აგვისტოს კონფერენციების პასუხსაგებ პერიოდს სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები.

სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლების ახალი, პროგრესული ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას. აგვისტოს თათბირებზე ხაზგასმით აღინიშნება, რომ საბჭოთა სკოლამ ხალისით უნდა გაუღოს კარი ყოველივე ახალს, პროგრესულს, მხარი დაუჭიროს ნოვატორ, შემოქმედ პედაგოგებს ახლის ძიებასა და დამკვიდრებაში. მხოლოდ ამ გზით მიიღწევს წარმატებებს ჩვენი სკოლა. მხოლოდ ასე მოძებნის თავის ადგილს იმ რევოლუციურ გარდაქმნაში, რომლის სულისკვეთებით ცხოვრობს დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მუშაობის სრულყოფისა და მისი აპარატის სტრუქტურის გარდაქმნის საკითხი.

მოიწონეს მთავრობის მიერ მომზადებული კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც პარტიის XXVII კრებლობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებული ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნის კომპლექსური პროგრამის შემდგენელი ნაწილია. გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად ამაღლდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყველა ორგანოს საქმიანობის დონე და მოხმარდეს იგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისა და ხალხის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას. მიღებულ გადაწყვეტილებაში დასახულია პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მთავრობის აპარატის მუშაობის არსებითი გაუმჯობესების ამოცანა და განსაზღვრულია მისი ახალი სტრუქტურა. ამასთან მცირდება აპარატის მუშაკთა რიცხვი.

პოლიტბიურომ განიხილა საბჭოთა არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის შემდგომი განვითარების საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულია არქიტექტურას დონის ამაღლების, ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარებისა და განაშენიანების გაუმჯობესების, ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და პროექტების ხარისხის სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებანი. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობას საბჭოთა ადამიანების ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას მართვის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოების ერთიანი სისტემა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი გარდაიქმნას სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტად.

მოიწონეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება მუშაობა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთათვის დამატებითი პენსიის ნებაყოფლობითი დაზღვევის შემოღების შესახებ. ასეთი დაზღვევა იქნება შრომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის სახელმწიფოს დიდი სოციალური ღონისძიება. დამატებითი პენსიის გადახდის წყარო იქნება სადაზღვევო ფონდი, რომელიც იქმნება დამზღვევთა პირადი შენატანებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნარჯზე.

სხდომაზე განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ 42-ე სესიაში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური მშენებლობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების ზოგიერთი სხვა საკითხი, მათ გამო მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

# „კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

აბრეშუმის პარკი ხომ გინახავთ? აი, ეს არის ის ერთადერთი ნედლეული, რისგანაც ყოველგვარი ფარჩეულ-აბრეშუმეული მზადდება (ბუნებრივ, ნატურალურ აბრეშუმზე მოგახსენებთ, თორემ ხელოვნური აბრეშუმის ნაირნაირი ქსოვილებიც რომ არსებობს, თქვენც კარგად იცით). მეაბრეშუმეობა ჩვენში ძველთაძველი დარგია, და თუმცა აბრეშუმის ძველტური, შინაური წარმოება ჩვენს დროში მძლავრმა მრეწველობამ შეცვალა, ნედლეულის პირველადი გადამუშავება — აბრეშუმის პარკისგან ძაფის ამოხვევა, დღემდე მეტად მძიმე და შრომატევადია. აქ, ამ უფაქიზეს ტექნოლოგიურ პროცესში ჯერჯერობით ადამიანის მარჯვენა მანქანამ ვერ შეცვალა.

არადა, სამუშაო მართლაც მეტად მძიმე და რთულია, იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს აბრეშუმის პარკში გასაოცარი სიზუსტითა და ჰარმონიით რვაინიბად ჩაკეცილ-ჩამარა ყუჟული და ერთმანეთს შეწებებული უწვრილესი ძაფების თავების მოძებნა და ამოხვევა, ჯერ პარკი უნდა შეიროთქლოს და დალბეს ანდუღებამდე მისულ, 95-96 გრადუსამდე გაცხელებულ წყალში. აქ პარკს ნათალეი, ბტორღული ძაფებისგან ათავისუფლებენ და 3-4 წუთის შემდეგ სახვეწ აბაზანაში გადააქვთ, სადაც წყლის ტემპერატურა 65-70 გრადუსი უნდა იყოს, რომ წებოვანი ნივთიერება — სერიცინი გამოირეცხოს და წვერაჩენილი ძაფის ამორღვევა გაადვილდეს.

და სწორედ აქ არის მთავარი სიძნელე, და პარკის მხარშავი მუშის ოსტატობაც აქ უნდა გამოვლინდეს.

ოსტატობაო, ადვილი სათქმელია. მაგრამ ხომ არ გგონიათ, ასევე ადვილი იყოს სამოცდაათგრადუსიან ცხელ წყალში იდაყვამდე ხელების ჩაყოფა და ძაფის წვერის მოძებნა?! თუ შეჩვეული არა ხარ და წინასწარ არ შეეშზადე, თითსაც ვერ ჩააკარებ. მუშა ოსტატმა კი ცვლაში სულ ცოტა 100-ჯერ მაინც უნდა ჩაჰყოს ხელი ამ ცხელ აბაზანაში და ისე იმუშაოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წყალში გახსნილი სერიცინი, პარკიდან გამორეცხილი ის წებოვანი ნივთიერება, აბაზანაში მეავე რეაქციას წარმოქმნის, ნათელი გახდება, თუ რა ყოფაშია პარკის მხარშავი მუშის ხელები. არც ის უნდა დაგვიწყდეს, რომ ეს ქალის ხელებია, ქალის ნაზი ხელები. აბრეშუმის წარმოებაში ხომ ტრადიციულად აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები შეადგენენ.

კაცმა რომ თქვას, ამდენი ახსნა-განმარტება და ტექნოლოგიურ პროცესებში ჩაღრმავება არაკაი საჭირო იმის მისახვედრად, თუ რა ძნელია აბრეშუმის პარკის ხარშვა და ამოხვევა, საკმარისია მხოლოდ ერთხელ შეხვიდეთ აბრეშუმის ძაფსაღებ სწარმოში, რომ ამაში დარწმუნდეთ.

რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რით შევამსუბუქოთ შრომა ამ ადამიანებს. რით შეგვიძლია მცირე შველა და შეღავათი მაინც მივცეთ ჩვენს მეაბრეშუმე ქალებს?

შეუძლებელია ეს კითხვა და ფიქრი არ დაებადოს ყველას, ვინაც აბრეშუმის წარმოებასთან რაამე კავშირი აქვს და საქმისათვის გული შესტკივა.

# სამრეწველო უკუგება მცირე დანახარჯით

ამ ფიქრმა და საზრუნავმა მიიყვანა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი გივი ჯოხარიძე სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევ-საძახავ ფაბრიკაში, რომ თავისი მეცნიერული აზრი და დაკვირვება თვით შწარმოებლებისათვის გაეზიარებინა და პრაქტიკულად გამოეცადა ლაბორატორიული წესით ჩატარებული ცდების შედეგები.

მეცნიერმა მიზნად დაისახა მოძებნა ან შეექმნა ისეთი პრეპარატი, რომლის ხსნარში შესაძლებელი იქნებოდა ისე დაელბოთ და ამოეხვიათ აბრეშუმის პარკი, რომ საჭირო აღარ ყოფილიყო აბაზანაში წყლის გაცხელება; თანაც ძაფის ხარისხიც არ უნდა დაქვეითებულიყო.

ბევრი ნივთიერება და ქიმიური შენაერთი გასინჯა ლაბორატორიაში, ბოლოს მისი ყურადღება, სრულიად შემთხვევით, ბენტონიტურმა თიხამ მიიპყრო. ქუთაისის საყოფილეურნეო ბაზარში „თავსაბან მიწად" რომ ჰყიდიდნენ. გამყიდველმა ქალმა, რომელიც ასკანელი აღმოჩნდა, აუხსნა: თბილ წყალში ჩაალბობ ერთ კვერს და დაიბან თავს, როგორც შამპუნით დაგბანია. ისე დაგირეცხავს და გაგიბრწყინებს თმას, ვერავითარი შამპუნი ვერ შეედრებაო, ისიც დასძინა, ჩვენს სოფელში მთებია ამნაირი თიხისაო.

გამოართვა რამდენიმე კვერი და როგორც ქალმა ასწავლა, დაიბანა თავი. მართლაც, ისე დაუბრილა, სულ აბრეშუმივით გაუხადა,

მიხვდა, ბენტონიტური თიხა რომ უნდა ყოფილიყო ეს „თავსაბანი მიწა", ისიც იცოდა, ნავთობის გადამმუშავებელ საწარმოებში რომ იყენებენ ამ თიხას, მაგრამ „თმის დამბრბილებელი" თვისებებიც თუ ჰქონდა, ეს არ იცოდა. იქნებ ჩემი მიზნებისათვის გამომადგესო, გაიკვლო გულში და სოფელ ასკანაში გაემგზავრა, მახარაძის რაიონში. აქ ბენტონატური თიხის მთელი საბადოები დახვდა. მაგრამ მომპოვებელი ქარხნის დირექტორი თეიმურაზ ქილიფთარი გულღიად შეეგება. თიხის რამდენიმე სხვადასხვა შედგენილობის ნიმუში შეურჩია და გამოატანა.

პირველივე ლაბორატორიულმა ცდებმა სასურველი შედეგი მისცა. ბენტონიტური თიხის ერთობლივი მეცადინეობით გრძელდებოდა ტექნოლოგიური პროცესების საბოლოო დახვწა და სრულყოფა. შედეგები იმდენად თვალსაჩინო და ხელშესახები აღმოჩნდა, რომ „გადაწყვიტეს 1987 წლიდან მთელი ძაფსაღები წარმოება ახალ ტექნოლოგიურ ციკლზე გადაეყვანათ.

და აი, სულ რაღაც ნახევარი წელი გავიდა და მთელი საწარმოს მასშტაბით კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა ამ ახალი ტექნოლოგიური სიახლის ღირსებები, შესაძლებელი გახდა უფრო ფართოდ და ზოგადად შეეფასებინათ მისი ეფექტიანობა.

სწორედ ამას ისახავდა მიზნად ძაფსახვევ-საძახავ ფაბრიკაში გამართული პარტიის საქმიანობის რაიკომის ბიუროს და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის ერთობლივი გამსვლელი სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ფაბრიკაში ინსტიტუტის ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პარკის მომზადებისა და ამოღების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის მიმდინარეობაზე, მოიწონეს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამშრომლობა, მტკიცე სახელშეკრულებო ურთიერთობა რომ უდევს საფუძვლად.

ერთი შეხედვით, თითქოს დიდი არაფერი მომხდარა: არც ახალი მანქანა გამოუტანიათ, არც ძველის გადაკეთება-მოდერნირება გამხდარა საჭირო, მიგნებულია სრულიად მარტივი, ბუნებრივი თიხა, რომლის თვისებები მახვილგონივრულად და ეფექტიანად იქნა გამოყენებული. ამის შედეგად უმნიშვნელო მატერიალური და ფინანსური დანახარჯებით დიდი უკუგებაა მიღებული: წარმოებაში გაუმჯობესდა შრომის ჰიგიენური პირობები, უკეთესია პროდუქციის ხარისხი, იმატა ნედლეულის გამოსავლიანობამ, ერთი ტონა ძაფის მიღებისათვის ადრინდელთან შედარებით საშუალოდ 150-180 კილოგრამით ნაკლები პარკია საჭირო, ფულადი ღირებულებით ეს დანაზოგი ტონაზე დაახლოებით 5 ათასი მანეთია.

მეცნიერებისა და მწარმოებელ პრაქტიკოსთა ერთობლივ შემოქმედებისთა გარჯა-ძიებაში ორი წელი გავიდა და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა. ეს წარმატება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, მისი მასშტაბი მალე გასცდება ერთი საწარმოს ფარგლებს და მთელ დარგს მოიცავს — ყველა მონათესავე საწარმოში დაინერგება. ეს კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი იქნება გარდაქმნის იმ გზაზე, ამჟამად ჩვენს ქვეყანაში რომ ხორციელდება.

**მ. მიქაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ᲖᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

## მეშახტეები ბეჯითობენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტში საუკეთესოდ ითვლება მეექვსე საქმესლოტაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი სამთოელი ვ. ჩხენკელი უდგას სათავეში. მეექვსეუბნელებმა იანვარ-ივლისში 39 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი საკოქსე ქვანახშირი ამოიღეს და სახელმწიფო დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

## სტიქიის შედეგები დაძლეულია

ლამის რვა თვის განმავლობაში იყო მოწყვეტილი სამყაროს „საქსამთოქემმრეწვის" ცენტის სამთო-ქიმიური ქარხანა. სტიქიამ არნახული ზარალი მიაყენა საწარმოს. წახდა საავტომობილო და საბაგირო გზები, შეწყდა ზოგიერთი პროდუქციის გამოშვება. ასეთ პირობებში დიდი ეფექტიანობა გამოიჩინა ქარხნის კოლექტივმა. დარიშხანის საამქროს მუშა-მოსამსახურეები 15 კილომეტრის მანძილზე დადიოდნენ ფეხით, საწარმოს არ ტოვებდნენ ბედის ანაბარა. ისინი ხარებშებმული მარხილებით ეზიდებოდნენ ათობით ტონა საექსპორტო პროდუქციას.

ახლა აქ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, აღადგინეს გზები, შენობები, ელექტროგადამცემი ხაზები... უფრო მეტიც: საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 7 თვის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თეთრი დარიშხანის საამქროს უფროსმა როინ მარგველაშვილ, ცვლის ოსტატებმა ჯობე, რეზო და ბელუდ ოხანებმა, ვალიკო ლობჟანიძემ, შოთა მარგველიანმა, სამთო საამქროს უფროსმა შალვა ონიანმა, მეღუმელეებმა ალექსანდრე ნიკარაძემ, სოკრატ, ლადიკო და ილიკო კაკრიაშვილებმა.

კოლექტივმა გადაწყვიტა უმატოს შრომის ტემპს და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულოს ლიმონიური და თეთრი დარიშხანის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმები.

(„კომუნისტის" კორ.).

## ფაბრიკა დანინაურდა

გალის რაიონში მოქმედი შვიდი ჩაის ფაბრიკიდან წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა ჟუბურხინჯის ჩაის ფაბრიკა. აქ დაბალი იყო შრომისა თუ საწარმოო დისციპლინა, ხშირი იყო მუშების დენადობა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას და სხვ.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხშირად ცვლიდნენ ფაბრიკის დირექტორებს, მაგრამ ძირითადად მათი არაკომპეტენტურობის გამო ფაბრიკა ვერა და ვერ გამოდიოდა გარღვევიდან, და ბოლოს ისე შეეჩვივნენ ჩამორჩენას, რომ ამან ქრონიკული ხასიათი მიიღო. ჩაის კრეფის დაწყების წინ ერთხელ კიდევ კვლავ განახლდა ფაბრიკის ხელმძღვანელობა. პარტიის გალის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციით ჟუბურხინჯელებმა დირექტორად აირჩიეს საკმაოდ დიდი გამოცდილების ტექნოლოგი, კომუნისტი გენო ბებუა, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგად გალის № 1 ჩაის ფაბრიკაში.

ჟუბურხინჯის ჩაის ფაბრიკამ წელს სეზონის დაწყებიდანვე შეუფერხებლად წარმართა მუშაობა და მოკლე ხანში მტკიცედ ჩადგა კიდეც მოწინავეთა რიგებში. „ბიკის" პრობლემაც მოიხსნა, რასაც მიაღწიეს წელიწადსწარ შემუშავებული მტკიცე გრაფიკის დაცვით. თუ წინათ კოლეგიურნობიდან ან საბჭოთა ეკონომიკიდან მოსული ჩაის ფოთლით დატვირთული ავტომანქანა საათობით და ზოგჯერ მთელ დღეს იდგა ნედლეულის ჩაბარების მოლოდინში, ახლა ასე აღარ არის, ფოთლს შეუფერხებლად იღებენ.

ყოველივე ამას სასურველი შედეგი მოჰყვა — იმატა პროდუქციის ოდენობამაც და ხარისხმაც.

**ვ. ჯლარკავა,**
„კომუნისტის" კორ.

# მუვიდობის მედალი — საბჭოთა ხელმძღვანელს

ათენი. 20 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთის ქალაქ ლევკადის მუნიციპალიტეტის კულტურული ცენტრის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, „1987 წლის მშვიდობის მედალი" მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს. ეს ამბავი მოხდა ამ ქალაქში — საბერძნეთის ერთ-ერთი ოლქის ცენტრში მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი ხელოვნების საერთო-ეროვნული ფესტივალის ფარგლებში.

ლევკადის მერმა და კულტურული ცენტრის თავმჯდომარემ სპიროს მარგელისმა მედალი გადასცა სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენელს და განაცხადა: „საბჭოთა ხელმძღვანელი მ. ს. გორბაჩოვი ბოლო წლებში აკაობრიობის სტაბილური მშვიდობის იმედებისა და მისწრაფებების გამომხატველი გახდა. მისი შეუდრეკელი მშვიდობისმოყვარული საქმიანობის მეოხებით შეიქმნა სხვაგვარი, უფრო ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბების წინამძღვრები. სწორედ ამიტომ, ბაზგასმით აღნიშნა ლევკადის მერმა, კულტურის ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება მიხეილ გორბაჩოვს მიანიჭოს „1987 წლის მშვიდობის მედალი".

**21 აგვისტოს** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ მიიღო საქართველოში მყოფი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული აგროსამრეწველო კავშირის თავმჯდომარე ჟ. დობრევი. სტუმრები ეცნობიან რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობას.

საუბრის დროს სტუმრებს უამბეს, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს მშრომელები სკკპ XXVII კრებლობის გადაწყვეტილებებს, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებებს, რომ რესპუბლიკაში გაჩაღებულია აღმშენებლობითი მუშაობა ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ გარდაქმნისათვის. ითქვა, რომ სულ უფრო იზრდება რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებთან.

# საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

იქმნება მათთან თანამშრომლობის ახალი ფორმები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბულგარეთში საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციის ამასწინანდელმა მოგზაურობამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

— დიდი ინტერესით გავეცანით საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობას. ბევრი რამ ჩვენთვის სასარგებლო გავიგეთ, განსაკუთრებით კვების მრეწველობის დარგში, — თქვა ჟ. დობრევმა. — უნდა აღვნიშნო, რომ თქვენმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ დიდ პროგრესს მიაღწია, და როგორც დავრწმუნდით, არ აპირებს დასჯერდეს მიღწეულს. განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები სელექციის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების დარგში და ა. შ. ჩვენ მოველაპარაკეთ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექტივს, ერთობლივი გამოკვლევები ვაწარმოოთ ყურძნის ახალი ჯიშების მიღების, სხვადასხვა ტექნოლოგიის, ულვიერუსო მასალების შექმნის დარგში და ა. შ.

ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ მან ხელი შეუწყო მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციის, ყვავილების წარმოების დარგში ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესახებ სსრ კავშირის სახაგრომრეწვის და ბულგარეთის ეროვნული აგროსამრეწველო კავშირის ხელშეკრულების დადებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯ

# რეალური პერსპექტივები

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლეულისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი რეალურ პერსპექტივებს ქმნის იმისათვის, რომ ძირფესვიანად გარდაიქმნას სამედიცინო სამსახური, აღმოიჩხვრას ნაკლოვანებანი, უზრუნველყოთ არსებული პოტენციალის გამოყენება, მკვეთრად გაუმჯობესდეს სამედიცინო დახმარება.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის გენერალური გეგმა — პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა — სერიოზული ამოცანებისა და, ამავე დროს, პერსპექტივების წინაშე აყენებს ინფექციურ სამსახურს. გრიპისა და იმ მწვავე რესპირატორულ დაავადებათა მნიშვნელოვანი შემცირება, რომელთა წილად მოდის დროებითი შრომის უუნარობის ყველა შემთხვევის თითქმის ნახევარი, 3,5 მილიარდ მანეთზე მეტ ეკონომიკურ ზარალს იწვევს. ბავშვთა აცრების საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესება, კუჭ-ნაწლავის ინფექციისა და ვირუსული ჰეპატიტის დაავადების შემცირება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სამედიცინო კადრების მომზადების ხარისხზე, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.

დღეისათვის რესპუბლიკაში სულ 3837 ინფექციური საწოლია, რაც დადგენილი ნორმატივის მხოლოდ ნახევარს შეადგენს. საწოლთა აღნიშნული რაოდენობაც, ძირითადად, შექმნილია არა ახალი საავადმყოფოებისა და გაყოფილებების გახსნით, არამედ არსებული სტაციონარების საწოლთა ფონდის ხელოვნური ზრდით, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეპიდსაწინააღმდეგო მოთხოვნების უგულებელყოფისა და თერაპიულ განყოფილებებში მცირე სიმძლავრის ინფექციური საწოლების გამოყოფით.

ინფექციური საავადმყოფოები ძირითადად მოთავსებულია მოძველებულ, ფაქტობრივად ამორტიზებულ შენობებში, არ არის უზრუნველყოფილი ცივი და ცხელი წყლით, კანალიზაციით, არ მუშაობს გამწმენდი ნაგებობები.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება — რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფო, რომელსაც არა აქვს მიმღები, მორგი, ესაჭიროება მოლიანი რეკონსტრუქცია. მისი საწოლების ფონდის იძულებითი, მაგრამ გაუმართლებელი გაზრდის გამო (რაც მთელი კავშირის მასშტაბით მოხდა), თითოეულ ავადმყოფზე 7-7,5 კვადრატული მეტრის ნაცვლად მოდის 2 კვადრატული მეტრი ფართობი.

არ არსებობს კლინიკური საავადმყოფოსათვის აუცილებელი მინიმალური პირობები სასწაალო და სამეცნიერო პროცესებისათვის. არასრულყოფილია ინფექციური საავადმყოფოების სამედიცინო ტექნიკითა და აპარატებით უზრუნველყოფა. ძირითადი მიმართულებანი ითვალისწინებს დიაგნოსტიკური ცენტრების ინტენსიურ მშენებლობას, ალბათ იგულისხმება „დამოუკიდებელი დიაგნოსტიკური ცენტრები“ ინფექციური ავადმყოფებისათვის, რადგან აღნიშნული კონტინგენტის კონტაქტი სხვა პროფილის ავადმყოფებთან არ შეიძლება.

ნშანელოვანი შეფერხებებია მედიკამენტებითა და სადეზინფექციო რეაქტივებით მომარაგებაში. სერიოზულ მსჯელობასა და გადაწყვეტას მოითხოვს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ერთჯერადი შპრიცებითა და სხვა საშუალებებით მომარაგების საკითხი, თუნდაც, იმიტომ, რომ ვირუსული ჰეპატიტების მატება ჩვენი რესპუბლიკისათვის ლამის ეროვნული პრობლემად იქცეს. ამავე ფაქტორზეა აგრეთვე ბეგრად დამოკიდებული შიდსის პროფილაქტიკა, რაც თავის მხრივ, სხვა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე გვაყენებს. ეს, ალბათ, თავისებური ნაგალითია ამ ინფექციებთან მიმართულებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ, ძირითად მიმართულებათა პროექტის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის სხვენიზული და სოფუძვლიანი მსჯელობა ჰქონდა რესპუბლიკაში ინფექციური სამსახურის განვითარების პერსპექტივებზე, შედგენილია სპეციალური პროგრამა, დაისახა ღონისძიებანი, რომლებიც ფართო, მასშტაბური სამუშაოებს ითვალისწინებს. ძირითად მიმართულებათა პროექტმა მისი რეალიზაციის იმედი მოგვცა.

*რესპუბლიკის ექიმ-ინფექციონისტთა საზოგადოება დიდი იმედითა და რწმენით შეჰყურებს მომავალს.*

**ბ. ქერაშვილი,**
**რესპუბლიკის კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.**

**ზუგდიდის** „საქმაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებაში მოსულ სტუმრებს უკვირთ, როგორ აშენებენ აქ ამდენსო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გაერთიანებას სულაც არა აქვს ამის განსაკუთრებული პირობები. და ის, რომ მექანალდეთა დაბა მთელ რესპუბლიკაში გახდა სანიმუშო — აშენდა საცხოვრებელი სახლები, სბავშვთბაღი, სკოლები, ყუდრო მრავალსართულიანი სასტუმრო, ჩინებული კულტურის სახლი, დიდებული გამაჯანსაღებელი კომპლექსი — სამეურნეო ანგარიშის უპირატესობაა...

— ჩვენს გაერთიანებაში სამეურნეო ანგარიშმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი, — ამბობს ენგურის სამშენებლო სამმართველოს უფროსი სულიკო ციმინტია, — ნათლად დავინახეთ რაოდენ მომგებიანია, როცა თვითონ ხარ შემკვეთიც და მომხმარებელიც.

რით დაიწყეს მექანალდეებმა?

ერთხელ პროფკავშირის კრებაზე წარმოების ვეტერანებს განუცხადებთ: ფული გვაქვს, არც მასალები გვაკლია და რატომ მიეჩერებიხართ სხვებს, მათი იმედით ხომ შორს ვერ წავალთ, მოდით, თვითონ მოვკიდოთ ხელი ამ საქმესო.

ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას. ახალი იდეა კონკრეტული შენიშვნებით განამტკიცეს და შესაბამისი რეზოლუციაც დაურთეს. შემდეგ ადმინისტრაციულ სამსახურებში სათანადო დოკუმენტები მოიპოვეს და მუშაობაც გაჩაღეს.

ერთი წლის შემდეგ გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ოთარ ფაცაციამ კოლექტივს მოახსენა: თქვენი წინადადებითა და დახმარებით საკუთარი სამშენებლო სამმართველო შეიქმნა. შედეგები სასიხარულოა: 1 წლის მანძილზე თითქმის 6 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა.

აი ამონაწერიც ცნობიდან: დღეს „საქმაღალდმრეწვის“ სამშენებლო სამმართველოს განკარგულებაშია ბეტონის გასასხსელი კვანძი, საარმატურო, მექანიკური და ხის დამამუშავებელი საამქროები, ცემენტის საწყობი, ტვირთის მისაღები მოედანი, სასაწყობო მეურნეობა. სამშენებლო სამმართველო ამზადებს საკედელ მასალების 50 პროცენტს. თითოეული მშენებლის გამომუშავებამ წელიწადში თითქმის 10 ათას მანეთს მიაღწია.

სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, რომ კაპიტალურ მშენებლობაში გეგმების შეუსრულებლობა ხშირია. ამის ერთ-ერთი მიზეზი სხვისი მოიმედეობაა, აი ამის ერთი მაგალითი:

ერთხელ მექანალდეებმა მეზობელ ორგანიზაციას ქვიშა სთხოვეს, მაგრამ ამაოდ. ჯერ გუნება წაუხდათ, მერე კი ასე განსაჯეს. რაში ვხარჯავთ ფულს, რატომ არ შეიძლება ჩვენივე კარიერი გვქონდესო. თქვა და გაკეთდა: ადგილობრივმა საბჭომ საამისოდ მექანალდეებს 70 ჰექტარი ფართობი გამოუყო. ახლა მათ აქვთ ღორღიც, თიხაც და სხვა მასალებიც.

— სამეურნეო ანგარიშს ერთი უპირატესობა ახასიათებს, — განაგრძობს საუბარს ს. ციმინტია, — ამას წინათ ერთ-ერთ მშენებლობაზე ასეთი ფაქტის მოწმე გავხდი: ძალ-ღონით სავსე კაცს ფიცარში ლურსმნის ჩაქიდება დაუჭირდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ლურსმანი იღუნებოდა და ძირს ცვიოდა. ჩვენ ასეთ მფლანგველობას არ დავუშვებთ. საქმეს ვახმართ ნაფოტსაც, ფიცრის ჩამონაჭერსაც... ყველაფერს.

სამეურნეო ანგარიში აქ მრავალსმთქმელ ცნებად მიაჩნიათ. სოციოლოგებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით უამრავი საკითხი შეისწავლეს და ამის საფუძველზე შეიმუშავეს სამოქმედო პროგრამა.

1990 წლისათვის, მაგალითად, განზრახული აქვთ გაფართოვონ გოფრირებული ქაღალდის ტარის წარმოება, ააგონ სანიტარიულ-ჰიგიენური ქაღალდის ფაბრიკის მეორე რიგი, განაახლონ ფაბრიკა, განამტკიცონ სამშენებლო ბაზა, უყურადღებოდ, ცხადია, არც საბინაო მშენებლობას დატოვებენ და არც დამხმარე მეურნეობას.

ობიექტების დიდი უმრავლესობა ხუთწლიან პროგრამაში მაშინ შეიტანეს, როცა მშრომელები ადმინისტრაციას კოლექტიურ ხელშეკრულებას უდებდნენ. ამ პროგრამის რეალიზაცია ყურადღების ცენტრშია. აი, რა ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე:

...როგორ არ უნდა გავიხსენოთ „საქმაღალდრეწვის“ გაერთიანების გამოცდილება, სადაც მარტო უკანასკნელ ხუთწლეულში აშენდა დაახლოებით შვიდი ათასი კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი ბინები, საერთო საცხოვრებელი, სბავშვო ბაღი, სავაჭრო ცენტრი, გაფართოვდა პიონერთა ბანაკი. კოლექტივის გაჯარგულებაშია საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები. ეს სერიოზული სტიმულია საწარმოო მაჩვენებლების ზრდისათვის. მეტი პროპაგანდა უნდა გავუწიოთ ამ გამოცდილებას.

მართლაც, ამ პერიოდში სასაქონლო პროდუქციის მატებამ 68 პროცენტს გადააჭარბა. გაანგარიშებულია, რომ ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 11-12 პროცენტით გაიზარდა. 15 პროცენტით შემცირდა დანახარჯები ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე, დაიზოგა თითქმის 20 მილიონი მანეთის ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსები, ოდესაც ჩამორჩენილი მეურნეობა თანამედროვე დიდრენტაბელური საწარმო გახდა.

უკანასკნელ ათწლეულში ორჯერ შემცირდა მშრომელთა ავადმყოფობა, რამაც გაერთიანებას მილიონი მანეთი დაუზოგა. ამოცდილი სპეციალისტების მეთვალყურეობით სწავლობენ ჯანმრთელობაზე საწარმო ფაქტორების ზემოქმედებას. გამაჯანსაღებელი კომპლექსის მთავარი დანიშნულება დაავადებათა მკურნალობა კი არა, მათი თავიდან აცილებაა.

ახლა კი, მოდით, დაბის მთავარ ქუჩას გავუყვეთ, რომელიც საწარმოს პირველი დირექტორის ბესარიონ ჯანიშიას სახელობისაა. აქ შაქარებით მომცრო მონაკვეთზე განლაგებულია მომსახურებათა მთელი ინდუსტრია — საჩექმეტანო სახელოსნოები, ატელიე, ეიროფლოტის სალარო...

რაც უფრო მეტად აკვირდები დაბას, მის სახლებსა და ქუჩებს, მით უფრო ნათლად ხედავ, რა დიდი ჯაფა და მეცადინეობა დასჭირვებია იმას, რომ კეთილმოწყობილი, მოხერხებული გამხდარიყო იგი ცხოვრებისათვის. დღეს დაბის მოსახლეობა 18 ათასია. მათთვის აშენებულია ათობით კეთილმოწყობილი სახლი. 2,6 ჰექტარზე გაშენდება სათბურები. მარტო ერთ წელიწადში 600 ცენტნერი ბოსტნეული, 550 კილოგრამი თაფლი და 80 ტონა სიმინდის მოსავალი მოიწიეს.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს აქ ყველა სოციალური პრობლემა უკვე გადაჭრილი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საკითხი უპირველესი საზრუნავია.

ახლა მინდა გიამბოთ, როგორ მუშაობენ გაერთიანების ქალთა საბჭო და მისი თავმჯდომარე ზნია ბიგვავა. აქ ხომ მრავალი ქალია დასაქმებული. ერთხელ მზიასთან მუშა ქალი შევიდა და უთხრა:

— სამუშაოზან უნდა გამანთავისუფლოთ! — განაცხადა მტკიცედ, ისე, რომ არაფერი განუმარტავს. ჯიუტად იმეორებდა: „ასეა საჭირო!“.

მზიამ მაინც აალაპარაკა იგი: ქალი შინ უნდა იჯდეს,—თქვა მან — მე რომ სამუშაოზე ვარ, ქმარი შინ ვერ ჩერდება და სხვაგან მიდის.

მზიამ უთხრა: იცი რა, მოდი გეწვევით სტუმრად, შევხვდებით შენს ქმარს და მოველაპარაკებითო. ხომ იცი, უცხო თვალი მეტს ხედავს ხოლმე...

მივიდნენ, და რა ნახეს! მათი თანამშრომელი შინ ქალი კი არა ნამდვილი „ალქაჯი“ ყოფილა, ქმარი უცხოების თანდასწრებითაც დატუქსა. გასაგები გახდა, რატომ არ ჩერდება იგი შინ.

ურრია: ალერსიანი იყავი, პატივისცემით მოეპყარი ქმარს და ყველაფერი მოგვარდებაო. გავიდა არცთუ დიდი დრო, და ცოლ-ქმარს მორის სიამტკბილობამ დამკვიდრა, ოჯახი ოჯახს დაემსგავსა.

## სამეურნეო ანგარიშზე, თვითმმართველობის პრინციპებზე

მაგონდება ერთი კრება, რომელზეც ზოგი თვლემდა, ზოგი ჟურნალს ჩაღრმავებოდა. ტრიბუნაზე დიდი ხნით ადრე დაწერილ მოხსენებას კითხულობდნენ, რაღაცას იწონებდნენ, რაღაცას აღუთქვამდნენ დაფიქრეთ. რა ხდება, ნუთუ კომუნისტებს გული არ შესტკივათ გადაუჭრელი პრობლემებისათვის? თუ არა, მაშ, რა აზრი აქვს ტრიბუნაზე გამოსვლას? ვის სჭირდება ეს არაფრისმთქმელი სიტყვები და ფრაზები? სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ აღმოგვიფხვრია ნაკლოვანებანი მუშაობაში, სხდომებს წინასწარ მომზადებული სცენარების მიხედვით ვიწვევთ.

პარტიაში მიღებაც თითქმის ძველებურად მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში ჩვენი პარტორგანიზაცია 56 კაცით გაიზარდა, აქედან 41 მუშაა, დანარჩენები საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები არიან. კარგი მატებაა, მაგრამ განა აუცილებელია მივიღოთ ყველა, ვისზეც ანკეტას გავცემთ? ჩვენმა საწარმომ არნახულად იცცალა სახე: ძველი შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ მუშებმა მიიღეს ახალი წითელი კუთხე, საგარდერობები, საშხაპეები.

საამქროს ერთ-ერთ კუთხესთან ყურადღებას იპყრობს კედელთან დადგმული აგრეგატი, რომელზეც წარწერია: „მადლობელი ვართ შენი, ჩვენო გოფრირების წნეხო!“. მან უკვე მოიხადა თავისი ვალი, კარგად ემსახურებოდა საამქროს და მუშებმა არ გაიმეტეს ჯართად. იგი დარჩება რელიქვიად, მთავარ ექსპონატად იმ მუზეუმისა, რომლის განსნასაც ვაპირებთ ამიერკავკასიაში ქაღალდის პირველი საწარმოს „საქმაღალდმრეწვის“ 50 წლისთავის აღსანიშნავად.

მომჭირნეობისათვის კოლექტივის მიზანმიმართული მუშაობის საფუძვლიანი გაშუქებისათვის გაერთიანების მრავალტრაჟიანი გაზეთი „ინგურსკი რაბოჩი“ საქალაქო სამინისტროს კოლეგიამ დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და გაზეთი „ლენინია პრომიშლენნოსტის“ რედკოლეგიამ საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. ყოჩაღი ქალია ჟურნალისტი მარინე ქარდავა. კარგად არომვეს თავს საქმეს, როგორც გაზეთის რედაქტორი და საზოგადოებრივი დავალებების შემსრულებელიც. პარტკომის მდივნის მოადგილეა, სამ შვილს ზრდის.

— ცხადზე ცხადია, რომ განსაკუთრებით ინიციატივიანია ის, ვინც კარგად იცნობს წარმოებას, იცის ოფლით მოპოვებული კაპიკის ყადრი. თავის დროზე მუშად მოსული ბევრი ადამიანი ახლა საამქროებსა და განყოფილებებს ხელმძღვანელობს. დაწინაურებამდე კარგა ხნით ადრე, „პერსპექტიული“ მუშაკი სერიოზულ წვრთნას გადის, ძნელ დავალებებს ასრულებს, ამტკიცებს, რა შეუძლია.

ერთხელ ახალგაზრდა აგრონომი თემურ ქარჩავა ეწვია გაერთიანებას და განაცხადა, თუ ნებას მომცემთ, თქვენს დამხმარე მეურნეობას ჩავუდგები სათავეშო. მეურნეობის შექმნას კი ისინ იყო იწყებდნენ. თავმდებლობის პოზიციებიდან თუ ვიმსჯელებთ, ასეთი „თვითდაწინაურება“ თითქოს კარგად არ გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, „პრეტენდენტს“ დავალება მიეცა და საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ დავრწმუნდით, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ძალზე საქმიანი, შრომისმოყვარე აღმოჩნდა. გამოამჟღავნა ორგანიზმატორული ნიჭი, დროის შეგრძნების უნარი.

თემურ ქარჩავამ ისე ააწყო საქმე, რომ დღეს ჩვენი აგრარული საამქრო ერთ-ერთი მოწინავეა გაერთიანებაში. ასეთი მაგალითი უამრავია.

მოსკოვიდან მიღებული კიდევ ერთი დეპეშა გადადიოდა ხელიდან ხელში. მასში ნათქვამი იყო: ცენტრალური ტელევიზიის მთავარი რედაქცია „საქმაღალდმრეწვის“ კულტურის სახლის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ენგურს“ იწვევს მონაწილეობა მიიღოს საღღეასწაულო კონცერტში — „ჩვენ ოცნებას მივუყვებით“. სხვათა შორის, ეს სიტყვები სრულად და სავსებით შეესაბამება მოქალაქეთა ჩანაფიქრსაც.

ეამაყებათ, რომ ანსამბლ „ენგურს“ ისევე, როგორც „ოცნებას“, თვითმოქმედი სახალხო კოლექტივის საპატიო წოდება მიენიჭა.

ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი გაერთიანების პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თ. ჯიქიამ. შეიძლება ზოგი რამ საყვედო იყოს მისი ნაამბობიდან, მაგრამ უდავო ის არის, რომ იგი ყველაფერზე გულწრფელად გვეუბნება. გვესაუბრა ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ჩვენ პარტიულ მუშაკს ვუწოდებთ... საინტერესოა დღეს ჩვენთვის ის, ვინც უმაკვრესი კრიტერიუმებით შეესაბამება ამ წოდებას, ვინც პირადი მაგალითით გვარწმუნებს ჩვენი იდეალების სიმართლეში. დროდადროდ პასუხისმგებლობას აკისრებს წინმაკვალთ, მათ უნდა ჰქონდეთ მგზნებარე გული და სუფთა ხელები.

**მიხეილ ფიჩხაძე.**



# პირველი ნაბიჯი, პირველი შედეგი

**სსრ** კავშირის კანონი, რომელიც შემოღებულია სამოქმედოდ მიმდინარე წლის 1 მაისიდან ხორციელდება, ფართოდ უხსნის გზას შინამრეწველურ-ხელოსნურ რეწვას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ამ საქმიანობაში დღითი დღე ებმებიან მოსახლეობის ფართო მასები, უპირველესად ომისა და შრომის ვეტერანები, ინვალიდები, პენსიონერები.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, ემყარება ოჯახურ შრომითს ურთიერთობას, გამორიცხავს დაქირავებულ შრომას.

ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონების, წითელწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებიც — საქალაქო და სასოფლო საბჭოები პრაქტიკულად ებმარებიან ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის მოწადინებულ ინდივიდებს, კოლექტივებს, შეუზღუდავად აძლევენ მათ სხვადასხვა სახელოსნო საქმიანობის ნებართვებს, საფინანსო ორგანოები დროულად უფორმებენ სარეგისტრაციო მოწმობებს, პატენტებს.

ასეთი სახელშეკრულებო დოკუმენტები გაუფორმეს კალატოზებს, ხეო-დურგლებს, მღებავებს, ავტომანქანებით მომსახურების მსურველთ და სხვ.

მარტო მიმდინარე წლის ბოლო ერთ თვეში ადგილობრივი საბჭოების მიერ წარმოდგენილი ნებართვების საფუძველზე რაიფინგანმა გასცა 10 პატენტი და 5 სარეგისტრაციო მოწმობა. რომ იტყვიან, ამ საქმის პირველი მერცხლები არიან ახალგაზრდა მეთუნუქეები ბეგლარ გოგიაშვილი, ვასილ ოზაშვილი, რობერტ გარსევანიშვილი, ელიზბარ ყველაშვილი.

საკუთარი ავტომანქანებით მოსახლეობის მომსახურებაში ჩაებნენ იროდი შანშიაშვილი, რაჟდენ ტოკლიკიშვილი, ივანე ნასიბოვი. საკალატოზო საქმის წარმოება ითავეს ზაურ გონაშვილმა, სამღებრო — ივანე ბაბაჯანიანმა და ა. შ. მათგან ერთი ნაწილი პენსიონერებია, ზოგი კი სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობს და ინდივიდუალურ საქმიანობას სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ეწევა.

ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ხალისით, გაბედულად ებმებიან ქალები, მუშა-მოსამსახურეები, დიასახლისები.

ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის სამკერვალო საქმეში ჩაებნენ ციცინო კოხტაშვილი, მზია მეხრიშვილი, ფატი კოკოჩია. სარეგისტრაციო მოწმობით მომუშავე 6 მოქალაქიდან 3 ინდივიდუალურ საქმიანობას ძირითადი სამსახურიდან მოუწყვეტლად გასწევს.

ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმული ხელოსნები ძირითადად დამკვეთის ან თავისი მასალებით მუშაობენ, მაგრამ მათ კანონის შესაბამისად მასალების შეძენაში უნდა დაეხმარონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები და. ორგანიზაციები, პირველ რიგში სამომხმარებლო კოოპერაცია.

ისევე, როგორც ყველა ახალ წამოწყებულ საქმეს, ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობასაც ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს. ასეთები არ დგამენ გაბედულ ნაბიჯებს ამ საქმიანობაში, გზას არ უხსნიან, არ ეხმარებიან ინიციატორებს, შრომისათვის მოწოდებულ ადამიანებს. ადგილობრივი საბჭოები დროულად არ აძლევენ მათ ნებართვებს, აგზავნიან ერთი ორგანიზაციიდან მეორეში, მოითხოვენ გაუმართლებელ საბუთებს, აჭიანურებენ ნებართვების გაცემას. როგორც გვითხრეს, ასეთია შორის შეინიშნებიან სოფელ გამარჯვების, ქვემო ქედის, სამთაოლის, სამთაწყაროს სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

ისმის კითხვა, რა შედეგი, რა ეკონომიკური ეფექტი მისცა ინდივიდუალური საქმის დანერგვამ, ანუ კანონის განხორციელებამ რაიონის ბიუჯეტს, რაიონის შემოსავალს? გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ წარმოებიდან შემოსავალი ერთიორად და შეტად გაიზარდა.

მაშასადამე, ამოცანა ნათელია, შედეგიც აშკარაა. საჭიროა მხოლოდ მეტი მონდომება, უფრო გაბედული პრაქტიკული ნაბიჯები.

**ვლ. მჭედლიშვილი,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# განახლებული შუა ხორგა

**ვინაც** ხუთიოდე წლის წინათ გაუვლია ხობის რაიონის შუა ხორგაში, შეუძლებელია არ გაოცებულიყო, იმიტომ, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში ბევრი რამ სასიკეთო მოხდა სოფელში. 450-კომლიან სოფელს სასმელი წყალი არ ჰყოფნიდა, შარშან კი თითოეულმა ოჯახმა მიიღო ანკარა წყაროს წყალი. ადრე ტალახიან, გაუვალ სასოფლო გზებზე ათ კილომეტრზე დაიგო ასფალტი, ფიცრული კუნძის ნაცვლად ორსართულიანი თანამედროვე 250-ადგილიანი კულტურის სახლი აშენდა. ფარფალალა კანტორის ნაცვლად ორიგინალური პროექტით აიგო კანტორა. ამასთან სანექსლოტაციოდ გადაეცა სასადილოს, ავტოპარკის, სასიმინდეებისა და საწყობების კაპიტალური ნაგებობანი. მთავარია, როგორია მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა; მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის საქმე ერთობ გაუმჯობესდა. თუ 1981 წელს 17 სახის დავალებიდან მხოლოდ 4 შეასრულა, შარშანდელი მონაცემებით თითქმის ყველა საგეგმო დავალება გადაჭარბებულია. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე შუა ხორგის საბჭოთა მეურნეობა კავშირში მეორე ადგილზე გამოვიდა და მეორე ხარისხის დიპლომით და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

1983 წელს მეურნეობამ 60 ათასი მანეთი იზარალა. შარშან კი მოგებამ 120 ათას მანეთს მიაღწია.

რა მოხდა, როგორ მიაღწიეს ამას?

ეს მოხდა კადრების სწორად შერჩევით, უწინარესად მისი თავკაცის, გამოცდილი სამეურნეო მუშაკის, აწ გარდაცვლილი კარლო კორტავას საქმიანი ხელმძღვანელობით. საგულისხმოა, რომ ამ კაცურ კაცს მხოლოდ ოთხი წლის ხელმძღვანელობა დასცალდა. ორ თვეზე მეტია, რაც შუა ხორგას არა ჰყავს. თავისი სახელოვანი წინამძღოლი, მწარედ განიცადა სოფელმა ღირსეული თავკაცის დაკარგვა, მაგრამ შრომის ტემპი როდი შენელებულა, რადგან იციან, მიღწეული პოზიციის დათმობა მხოლოდ ჩრდილს მიაყენებს იმ ადამიანს, რომელმაც მოკლე ხანში ბევრი კარგი საქმე გააკეთა.

ამ დღეებში შუა ხორგის ცენტრში მგზავრთა ახალი მოსაცდელი აშენდა, იქვე პატარა სკვერიც მოეწყო და სასმელი წყალიც გაიყვანეს. მაღლიერმა მშრომელებმა მას „კარლოს წყაროო“ შეარქვეს.

ახალი, გაზრდილი ამოცანების წინაშე დგანან შუახორგელები. წელს სამედიცინო მრეწველობას უნდა ჩაბარდეს 32 ტონა ალოე, რაც თითქმის 50 პროცენტია კავშირში წარმოებულისა, 150 ტონა კალანხოე. სამკურნალო კულტურები მეურნეობის ძირითადი მაპროფილებელია; მათი სბრძოლო ამოცანაა აგრეთვე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების განუხრელი ზრდა. ამ მიზნით ისინი წელს სახელმწიფოს ჩაბარებენ 20 ტონს სიმინდს, 30 ტონა სოიას, 60 ტონა რძეს, 5 ტონა ხორცს.

შუახორგელ მშრომელთა ავანგარდშია პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი — ქეთევან არახამია), რომელიც 52 კომუნისტს ერთიანებს. სოფელში ყოველივე კარგის ინიციატორები და განმხორციელებლები ხომ კომუნისტები არიან!

შრომის შესანიშნავ ნიმუშს იძლევიან პარტიის წევრები მუურმან ბერაია, შოთა კიბირია, გიგი კორტავა, შოთა ცხადაია, ალექსანდრე ჯობავა და სხვები.

სამკურნალო მცენარეთა პროდუქციის მეურნეობა საბჭოთა კავშირის 70-ზე მეტ საფთიაქო დაწესებულებას აწვდის. კოლხ ქალებს კარგად ესმით მათ წინაშე დასახული ამოცანის მეტად დიდი მნიშვნელობა, ქებას იმსახურებენ დედა-შვილის შურა და ნანი არახამიები, ოლო ყურუას, ნარგიზა ქანთარიას, ნინო გრეასს, მარო კონჯარიას, კლარა გახოკაას, ლეილა თურქიას მონდომებული საქმიანობა.

როგორც ყოველთვის, შუახორგელ მესიმინდეებს ჩირაღდნივით მიუძღვის წინ სახელგანთქმული ნოვატორი მესიმინდე, ორგზის ლენინის ორდენოსანი კოსტა ჯოჯუა. მას მხარში უდგანან ჟორა გეგეჭკორი, ევსევი კიზირია, ჯემალ მურღულია, სერაპონ ქაცარავა, გულადი შენგელია. ისინი თითოეული ჰექტარიდან 70-80 ცენტნერი სიმინდის მისაღებად იბრძვიან.

წელს შუახორგელმა მეაბრეშუმეებმა ერთჯერთმა პირველებმა უპატაკეს რაიონში აბრეშუმის პარკის გეგმის შესრულება. 1.600 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 2.125 კილოგრამი პარკი. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი დავალებები მეაბრეშუმეებმა მარინე მირცხულავამ, ვარდო კიზირიამ, ფოთო ხასიამ, ლალი შენგელიამ, ნინა ქირიამ, ლუბა ბერაიამ.

მეურნეობის წარმატებები, საწარმოო სამსახურის უნარიანი საქმიანობა იმის შედეგია, რომ ამ დარგს წლების მანძილზე სათავეში უდგას გამოცდილი აგრონომი და ჟურნალისტი ვახტანგ სერგია (რომელიც ამჟამად დირექტორის მოვალეობას ასრულებს). ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ ხვდება მეურნეობა საოქტომბრო დღესასწაულს, მთავარმა აგრონომმა გვიპასუხა: მთავარია მიღწეული წარმატებების განმტკიცება, ყველა სახის სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით შესრულება. შუახორგელ მშრომელებს ძალუძთ ამისი გაკეთება და უნდა გაკეთონ კიდეც. ჩვენ გვჯერა მათი.

**ვ. ჩაჩიბაია,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

**სურათზე:** აქ, ამ სათბურში გამოჰყავთ სამკურნალო მცენარეები.



# ზომები მიღებულია

**ჩვენი** გაზეთის 23 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „შემხვედრი ზოლი“. წერილი ეხებოდა ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელიც „თბილისწყალკანალის“ საწარმოო სამმართველოს მძღოლმა მოახდინა და რომლის დროსაც დაიღუპა სპორისპირო მხრიდან მომავალი „ეიგულის“ მძღოლი და მგზავრი. ამის თაობაზე რედაქციამ მიიღო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტონინსპექციის სამმართველოს პასუხი, რომელშიც გვწერენ:

**გ. დოლიძე — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე:**

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომამ განიხილა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელიც მოახდინა „თბილისწყალკანალის“ საწარმოო სამმართველოს მძღოლმა ფ. ოდიშვილმა. კოლეგიამ მხედველობაში მიიღო, რომ „თბილისწყალკანალის“ საწარმოო სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტორის საერთო კრების გადაწყვეტილებით მძღოლი ფ. ოდიშვილი მოწმენილია სამუშაოდან სახამართლოს გადაწყვეტილებამდე.**

**მორიგე მექანიკოსი ვ. კეშაგური განთავისუფლებულია სამსახურიდან, საავარიო სამსახურის უფროსს ზ. აბუთიძეს და მთავარ ინჟინერს ა. ჩაველაშვილს გამოეცხადათ საყვედური, წყალსადენის ტრესტის მმართველს ო. ამირანაშვილს მკაცრად მიეთითა, ხოლო მთავარ ინჟინერს ჯ. ცერცვაძეს და ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსს გ. ხორგუაშვილს გამოეცხადათ საყვედური.**

**საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა განიხილეს გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღ

# საგურამო და ილია

**1986** წელს გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ამ პერიოდში ლიტერატურული ფონდის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტისადმი წარდგენილ წერილში წერდა: „ჩვენის აზრით, ილიასეული ტყე, ისედაც ძლიერ დაზარალებული, უნდა შეკვრათ, აღვადგინოთ და უწინდელზე უკეთ გავაშენოთ. ის ილიას სახლს ზედ აკრავს, შეთხელებულია და მას უფრო ხანგრძლივი შეკვრა სჭირდება, ვიდრე გაჩეზვა. მაგალითისათვის გაგახსენებთ, რომ პუშკინის მამულები ნაკრძალად („ზაპოვედნიკად“) არის გამოცხადებული. ილია ჭავჭავაძე ფუძემდებელია ახალი სალიტერატურო ქართულისა, უდიდესი მწერალია მე-19 საუკუნისა და მისი სახელი და როლი ღირსია, რომ საგურამოც ნაკრძალად იყოს გამოცხადებული“ (წერილი ინახება მწერლის პირად არქივში).

ზემოხსენებულ წერილში საგურამოს ტყის დაცვისა და განაშენიანების საქმეს მწერალი დიდი ილიას სახელის უკვდავყოფისა და დაფასების თვალსაზრისით ჭვრეტდა, ამასთან მხედველობაში ჰქონდა, რომ ეს იქნებოდა საერთო-სახალხო საზრუნავი საქმეც.

ძველად საგურამოს ტყეებში ხდებოდა ინტენსიური უსისტემო ჭრა, ტყე იჩეხებოდა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ თბილისის ბაზარზე გასაყიდადაც. ამასთანავე იჭრებოდა მრავალი ძვირფასი ჯიშის ხეებიც. განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ტყეებს ნახშირის გამოწვამ, რაც იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო. ამის ნათელი დამადასტურებელი საბუთია დღესაც აქ შემორჩენილი მრავალი სანახშირე ორმო. დიდი ზიანი მიაყენა საგურამოს ტყეებს აგრეთვე მათმა ყოფილმა მეპატრონემ თავადმა გურამოვმა.

თბილისის შემოგარენის ტყეების დაცვის შესახებ ჯერ კიდევ დიდი ილია წერდა: „ყოვლად შეუწყნარებლად, დაუნდობლად და წინდაუხედავად კაფავ ტყეებისა თბილისის გუბერნიაში დიდს უბედურებას შეგვამთხვევს, ჩვენი მინდვრები, მამულ-დედულები უწყლობით ხრიოკებად გადაქცევა. ძლიერი გვალვები, რომელიც ამ ბოლო დროს ასე ხშირად გვეწევა ხოლმე, წინამორბედია იმ საუბედურო მერმისისა. რა საჭიროა მეტად გაგრძელება სიტყვისა მასზე, თუ რა უბედურება მოსდევს ტყეების ხელაღებით კაფვასა და რა კეთილი — მის გაფრთხილებასა“.

დიდი ილიას ეს სიტყვები უპირველესად ეხებოდა თვით საგურამოს ტყის მასივებსაც, რომლის ძვირფასი ფლორა და ფაუნა ადრევე იქცევდა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა ყურადღებას. მიხეილ ჯავახიშვილის მოწოდება — ილიასეული ტყე გამოცხადებულიყო ნაკრძალად — სინამდვილედ იქცა, თაღრიცხვის წიგნი. გადაცემულია დასაბეჭდად ნაკრძალის მეგზური, წარმოებს ფლორისა და ფაუნის ინვენტარიზაცია და სხვა.

მარტო მცენარეული საფარით როდია საგურამოს ნაკრძალი საინტერესო, მისი გარემო შესანიშნავ პირობებს უქმნის აქ გავრცელებულ ფაუნის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც არის ჩვენი ტყეების მშვენება ირემი და შველი, კურდღელი, ციცინელა, კაკაბი. ახლომახლო ჭალებში ხოხობსაც შეხვდებით და მტაცებელ ცხოველებსაც — მგელს, ფოცხვერს, მელას, იშვიათად — დათვს.

საგურამოს ნაკრძალი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. მის ტერიტორიაზე არაერთი საინტერესო ისტორიული ძეგლია. ნაკრძალს ეკუთვნის აგრეთვე წიწამურიც, სადაც არქეოლოგებმა მიაკვლიეს ქართლის პირველი დედაქალაქის მცხეთის ერთ-ერთ უბანს, რომელსაც ძველი ბერძნები თურმე სევსამორას უწოდებდნენ.

და 1946 წელს საგურამოს ტყის მასივი გამოცხადდა სახელმწიფო ნაკრძალად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ხალხმა, თითოეულმა ჩვენგანმა სათუთად მოუაროს და შემოინახოს ქართული ტყის მრავალფეროვნება, ჩვენი ფლორისა და ფაუნის ყველა იშვიათობა.

საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოში შემორჩენილი კოლხური ტიპის ტყის ელემენტებით, როგორიც არის ბზა, ჭყორი, კავკასიური მოცვი, კოლხური სუო, რომლებიც ქართული მუხისა და აღმოსავლური წიფლის ტყეების მშვენებაა.

დღეს საგურამოს ნაკრძალი თავისებური მეცნიერული ლაბორატორიაა ღია ცის ქვეშ, სადაც მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ხორციელდება ყოველგვარი სატყეო თუ ბიოტექნიკური ღონისძიებები. ყოველწლიურად დგება ბუნების წელიწადი.

აქვეა დიდი ილიას მკვლელობის ადგილზე აღმართული ობელისკი, რომელსაც სასოებით უვლიან ნაკრძალის თანამშრომლები.

ნაკრძალის მიდამოს ამშვენებს ზედაზნის მთაზე მდებარე მერვე საუკუნის ხუროთმოძღვრული ისტორიული ძეგლი, საიდანაც თვალწინ გადაგეშლებათ არაგვისა და მტკვრის ხეობების, თბილისის ზღვის იშვიათი ხედები.

საგურამშია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმიც, რომელიც ყოველწლიურად ათასობით მნახველს იზიდავს.

სახლი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ილია, გარშემორტყმულია საგურამოს მადლიანი ტყის მასივებით, მას ეკუთვნოდა ტყის ვრცელი ფართობი სახლიდან ზედაზნის მიდამოების ჩათვლით, აგრეთვე სოფელ წიწამურის მიმდებარე ტყის მასივიც.

ტყეში გავლის დროს, რომელიც ასე უყვარდა ილიას, რჩევას იძლეოდა, გამეჩხრებული ადგილები ახალი ნერგებით შეევსოთ. გულისხმიერებით ეკიდებოდა აგრეთვე ნადირ-ფრინველის დაცვის საქმეს და მოითხოვდა, რომ მონადირეებს არ მოეკლათ ირემი, შველი და მგალობელი ფრინველები.

საგურამოს ტყეების ნაკრძალად გამოცხადებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როგორც ტყის მასივის, ისე მათი ბინადარ ნადირ-ფრინველების მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში შემორჩენილია ილიასეული ბეგრი ადგილი, ნაკრძალად გამოცხადების შემდეგ კიდევ უფრო რომ დამშვენდნენ.

ცნობილია, რომ ფსკოვში არსებობს პუშკინის ნაკრძალი ობელისკითურთ, ხოლო ტიუმენში დეკაბრისტების სახელობის ტაძრია.

დიდი ილიას ხსოვნის პატივსაცემად **მიზანშეწონლად მიგვაჩნია, სახლ-მუზეუმის მიმდებარე ნაკრძალის ტერიტორიაზე ოცდაათ ჰექტარ ფართობზე გაშენდეს ტყე-პარკი,** რომელიც დაამშვენებს მიდამოს, ხოლო **საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალს მინიჭოს ილიას სახელი.**

**რამაზ შიშნიაშვილი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე.**

## სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

# ოღონდ არ გაუცრუვდეთ ბავშვებს მოლოდინი

**ტრანსკავკასიის** საუღელტეხილო, საავტომობილო გზისა და გვირაბის მშენებლობამ სახე უცვალა მაღალმთიან სოფელ როკას. იქ, სადაც ცხენით ჭირდა გავლა, ახლა ფართო მოასფალტებული გზის მარჯვენა თუ მარცხენა მხარეს გულს ახარებს მრავალსართულიანი კომუნალური და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ტურბაზის შენობა. მათ მალე დაამშვენებს ახალი სასკოლო შენობა 140 მოსწავლისათვის. თუმცა, ჯერჯერობით აქ 33 ყმაწვილია, მაგრამ გათვალისწინებულია ის გარემობა, რომ მთიელები. მთებს უბრუნდებიან. ორსართულიანი სკოლა სოფლის ცენტრში შენდება, მას ექნება 10 საკლასო ოთახი, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, სახელოო კაბინეტები, შრომის სასწავლო სახელოსნო, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი... მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 330 ათასი მანეთია. მარტო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობისათვის 220 ათასი მანეთია გათვალისწინებული.

— მოასწრებთ სასექტემბროდ?

— აუცილებლად. ყველაფერს მოვასწრებთ, — ეუბნება საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს დ. მანჯგალაძეს № 11 ტრესტის მმართველი ი. ვაშძე.

ამ დღეებში როკაში ჩამოსულმა მინისტრმა დაათვალიერა მშენებელთა ნახელავი. მოიწონა მშენებლების ენთუზიაზმი.

— ბავშვებს მოლოდინი უნდა გავუმართლოთ. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ თქვენი ენერგიული შრომა იმედს გვისახავს, ოღონდ ტემპი უნდა გაძლიერდეს, მუშაობელის დამატებაა საჭირო, — ამბობს მინისტრი.

— ბიძინა, თქვენ მშენებლობის დამთავრებამდე აქ იქნებით, — მიმართავს მშენებლობის სამინისტროს მშენებლობის წარმოების მთავარ ტექნოლოგს ბ. ლომთათიძეს. — დღესვე ჩახვალთ ჯავის რაიალმასკომის თავმჯდომარესთან და დამხმარე მუშახელის დამატებით გამოყოფის საკითხს მოაგვიანებთ. სხვა სამშენებლო მასალები ხომ არაფერი გაკლიათ, ყველაფერი ადგილზეა? — კითხულობს იგი.

— თითქმის ყველაფერი სამყოფი გვაქვს, შეფერხება არ არის, — უპასუხებს № 11 ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ბ. მჭედლიძე, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობს.

მშენებლებს აქვთ ცემენტი, ქვიშა, ალებასტრი, აგური, სიმკაცრე, ბი, საკედლე ბლოკები... აი, კიდევ ერთი აგურით დატვირთული „ზილი“ მოადგა ობიექტს. საჭიროა მისი სასწრაფოდ დაცლა. მუშები ტოვებენ თავიანთ საქმეს და აგურის ჩამოცლას იწყებენ.

იმ დღისთვის მშენებლობაზე 55 კაცი მუშაობდა. კიდევ საჭიროა არის 20 დამხმარე მუშა, — თქვა სამუშაოთა მწარმოებელმა ს. შავლოხოვმა.

— სპორტული დარბაზის მშენებლობაზე ჯერჯერობით ხუთოდე დიდი საკედლე ბლოკია დადებული.

— თქვენ თქვით, რომ პირველი სექტემბრისათვის ობიექტი ჩაბარდება. განა ორ კვირაში ყველაფერს მოასწრებთ? — ვეკითხებით სამუშაოთა მწარმოებელს.

— შეიძლება სპორტდარბაზი დაგვრჩეს დასამთავრებელი და ეზო — კეთილმოსაწყობი. გადასახური სამკაერები შემოზიდულია, მაგრამ საკედლე ბლოკები ვერ ამოვიტანეთ, მანქანები არ გვყოფნის. კიდევ ოთხი სატვირთო მანქანა არის საჭირო, — ამბობს სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

რომან ბაინდურაშვილი ამზეზე მუშაობს.

— ყოჩაღი ბიჭია, — ამბობს მასზე სამუშაოთა მწარმოებელი. — მამამისი რომანი მებულდოზერეა, ძალზე კეთილსინდისიერი მუშაკია.

— 2-3 დღეში სახურავს შეკვრავთ და დავიფარებთ, — გვარწმუნებს დურგალი გიორგი გიგოლაური.

—საკლასო ოთახების საპარკეტე იატაკების მოჭიმვას ერთი-ორი დღე დასჭირდება, — გვითხრა ოსტატმა დავით ტაბატაძემ.

— გაშრობაც ხომ უნდა! ვერ მოასწრებთ პარკეტის დაგებას...

— თბილი დარია, მალე გაშრება, — დაგვიამეფდა მან.

— პარკეტს კი დაგებთ, მაგრამ ჯერ სინათლეც არა გაქვთ, როგორა უნდა მოხვიწოთ?

— მაღალი ძაბვის ხაზები დიდმა თოვლმა მწყობრიდან გამოიყვანა, ახლა უკვე მალე აღადგენენ და გვექნება, — გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა.

მებათქაშენიც მოვინახულეთ. ჩერმენ კოჩიევსა და ზაურ გუჩმაზოვს მხარში უდგანან ხაშურიდან მოსაშველებლად ჩამოსული მეგობრები გია, ზაურ, თენგიზ ლომსაძეები.

— რამდენ დღეში დაამთავრებთ მობათქაშებას?

— სამ-ოთხ დღეში, — გვეუბნება გია.

დერეფანში ქოზაიკური ფილების დაგება მთავრდება.

— სახურავი დაგიგვიანდათ, გუშინაც წვიმდა, მთაში ახლა ხშირად იცის კოკისპირული წვიმები, მაშინ ხომ წყალში გადაიყრება ამაგი, ჩამორეცხება, ჩამოიშლება ახლად მობათქაშებული ჭერი და კედლები...

— კიდევაც კარგად მოვასწარით. 20 ივნისამდე ვერ შემოვედით ობიექტზე. დიდთოვლობის გამო ეზოში შესვლა შეუძლებელი იყო, — იმიზეზებს სამუშაოთა მწარმოებელი.

— საძირკველი შარშან ოქტომბერში ჩაიყარა. ასეთი ენთუზიაზმით თავიდანვე რომ გეშუშავათ, სკოლა მზად იქნებოდა...

— მართალია, — ჩაილაპარაკა მთავარმა ინჟინერმა ბ. მჭედლიძემ.

თბოტრასა მზად არის. წყაროს წყალიც მოიყვანეს ობიექტზე. ელექტრიკოსებს კედლებში კაბელები ჩაუწყვიათ.

— როდის დაამთავრებთ ელექტროგაყვანილობას? — ვკითხეთ „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელს გიორგი რაზმაძეს.

— მალე დავამთავრებთ ხაზებს გაყვანას. ერთ-ორ დღეში კარადებს დავამონტაჟებთ, ერთი-ორი დღეც საქვაბეს დასჭირდება. დღის განათების ლამპიონები შემოტანილია, მაგრამ პროექტით ჩვეულებრივი განათებაა გათვალისწინებული. ამისთვის კი ლამპიონები არა გვაქვს...

სანტექნიკოსები მუშაობას არ შესდგომიან, თითი არ გაუნძრევიათ. ვინტილაციაც მოსაწყობია. ცენტრალური გათბობის საქვაბე გადასახურია და ღუმლები — გასამართავი. ფანჯრები შესამინა, სამღებრო სამუშაოები, ცხადია, ჯერ არ დაუწყიათ. შენობას გარეედანაც ხომ უნდა მობათქაშება და ხსნარის შესხურება? როდის აღიმართება სპორტდარბაზის კედლები? წელს მშენებლობისათვის გამოყოფილი 255 ათასი მანეთიდან აგვისტოს მეორე დეკადამდე ათვისებულია მხოლოდ ნახევარი. მშენებლობის ხელმძღვანელები კი გვარწმუნებენ, 1 სექტემბერს როკის ახალ სკოლაში ზარი დაირეკებაო. ჩვენი სურვილიც ეს არის, ოღონდ გვეეჭვება. მთაში დიდი წვიმების დრო დგება. ახლა ყოველი საათი კი არა, წუთიც ძვირფასია: მხლოდ ძალების მაქსიმალური დარაზმვით და მუხლჩაუხრელი შრომით თუ შესძლებენ მშენებლები სკოლის მომთავრებას.

№ 11 ტრესტის მმართველი თამაზ ვაშაძე ეჭვს გვიქარავებს: — თქვენ შარშან სოფელ ნულის სკოლის დამთავრებაც ვეეჭვებოდათ, მაგრამ მოვასწარითო. დე, ჩვენ გავმტყუნდეთ, ოღონდ ბავშვებს არ გაუცრუვდეთ იმედი.

**გ. თედეევი,**
**„კომუნისტის“ სპეც. კორ.**

## ეცნობიან საქართველოს აგრარიკოსთა გამოცდილებას

**საქართველოში** იმყოფება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც ეცნობა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობას, მისი განვითარების პერსპექტივებს.

წარმომადგენლობითი დელეგაციის შემადგენლობაში რომელსაც მეთაურობს ეროვნული აგროსამრეწველო კავშირის თავმჯდომარე ჟელიო დობრევი, შედიან მისი პირველი მოადგილე კირილ მალინოვი, ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ცენო ხინკოვსკი, ეროვნული აგროსამრეწველო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრ სტანევი, ხორბლისა და მზესუმზირას ინსტიტუტის დირექტორი ივან კარაივანოვი.

სტუმრები იყვნენ რესპუბლიკის მრავალ საწარმოო და სამეცნიერო ობიექტებზე. გაეცნენ მათ გამოცდილებებს და გამოკვლევებს. (სპეციფორმი).

## დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:**

**პარტიულ,** საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ვლადიმერ დიმიტრის ძე **ბოჟანი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

**სამეურნეო,** ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბაღჩეულობისა და ბოსტნეულის ინსტიტუტის ბალნოსანი ნაკეთების ლაბორატორიის ინჟინერ-ტექნიკოსი ამბ. ალექსანდრე ალექსის ძე **ბერიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲣᲠᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲠᲝᲜᲘ



# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲣᲠᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲠᲝᲜᲘ

ფაქტები • მოვლენები

# მსოფლიოში მხარს უჭერენ საბჭოთა ინიციატივებს

**გუდაპეშტი.** საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების წყალობით სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ახლა უმუალოდ მიუახლოვდნენ განიარაღების შესახებ მნიშვნელოვანი შეთანხმების დადებას, წერს გაზეთი „მადიარ ჰირლაპი“. უიარაღო მსოფლიო დღეს ბირთვული საფრთხის ერთადერთი ალტერნატივაა. განიარაღებისადმი მისწრაფება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკაა, ხაზს უსვამს გაზეთი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აგრეთვე საქმით უნდა გვიჩვენოს, რომ მზად არის დადგეს გზას, რომელსაც უბრალოო მსოფლიოსაკენ მივყავართ.

**ძაგული.** ვლადივოსტოკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც შემდგომ განვითარდა სსრ კავშირის კონსტრუქციული ლონისძიებებით, შეეხებიან საბჭოთა კავშირის ინტერესებს არა მარტო აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის, სოლიდარობისა და მეგობრობის ორგანიზაციის განცხადებაში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რეგიონის ხალხებმა მიიღეს სსრ კავშირის იმ განზრახვის გულწრფელობის მკაფიო და არაორაზროვანი დადასტურება, რომ ხელი შეუწყოს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის ზონად ამ რაიონის გადაქცევას.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის, სოლიდარობისა და მეგობრობის ორგანიზაცია მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებებს. უდავოა, რომ აზიაში ვითარების საერთო გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ავღანეთის მოვლენების პოზიტიურ განვითარებასაც.

**ჯაკარტა.** შეიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის შესახებ საბჭოთა წინადადებებს ფართო და კონსტრუქციული მნიშვნელობა აქვს და მძლავრი იმპულსია ბირთვული, ქიმიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის ლიკვიდაციის გზაზე, წერს გაზეთი „მერდეკა“ სარედაქციო სტატიაში.

**რაბატი.** სსრ კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ ადგას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების კურსს, წერს მაროკოს პროგრესისა და სოციალიზმის პარტიის ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ალ-ბაიანი“. ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირის ახალი კონსტრუქციული წინადადებები ყოველგვარ საშუალებას უსპობს დასავლეთს, უწინარეს ყოვლისა შეერთებულ შტატებს თავიანთი ბირთვული არსენალების ზრდის გასამართლებლად.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინდონეზიის გაზეთ „მერდეკასათვის“ მიცემულ ინტერვიუში მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულ წინადადებებს. პლანეტის ხალხებს, ხაზს უსვამს გაზეთი, უფლება აქვთ თვითონ სახლისაგან ელოდნენ კონკრეტულ მოქმედებას ახალი საბჭოთა ინიციატივის პასუხად. მაგრამ, ვაშინგტონში ეძებენ საბაბს, რათა ხელი შეუშალონ ამ განზრახვის განხორციელებას. ამას მოწმობს ამერიკელთა მისწრაფება სალიკვიდაციო რაკეტების ნუსხიდან გამორიცხონ „პერშინგ-1 ა“ რაკეტები. ამრიგად, დაასკვნის „ალ-ბაიანი“, ჩვენ წინაშეა ორი საწინააღმდეგო მიდგომა.

საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს ყველასათვის თანაბარი უშიშროების პრინციპით, ამერიკის შეერთებული შტატები კი სულ უფრო ადგება იმ მიუღებელ მოთხოვნათა გზას. რომელთა მიზანია სამხედრო უპირატესობის მიღწევა.

**აკრა.** საბჭოთა კავშირმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე განახორციელა უპრეცედენტო ლონისძიებანი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისა და ბირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლების მიზნით, წერს განის გაზეთი „პიპლზ დეილი გრეფიკი“. საბჭოთა ხელმძღვანელობა, ხაზს უსვამს იგი, საერთაშორისო საზოგადოებრიობას აფრთხილებს, თუ რა უდიდესი საშიშროება მოაქვს ბირთვული იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებების არსენალების დაგროვებას.

მაგრამ დასავლეთი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, არ იღებენ რეალურ ღონისძიებებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში. „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამისადმი ვაშინგტონის ერთგულება მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უფიქრდება, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თერმობირთვულ კატასტროფას. მშვიდობისმოყვარე ხალხები გაბედულად უარყოფენ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას. ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია — აი მიზანი, რომლის მისაღწევადაც უნდა შეკავშირდნენ მშვიდობისა და პროგრესის ძალები.

## ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲖᲠᲘᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲛ�პᲝᲖᲘᲣᲛᲘ

**რომი.** 20 აგვისტოს სიცილიის კუნძულზე, ქალაქ ერიჩში გაიხსნა შეცნიერთა მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება „მსოფლიო ლაბორატორიის“ პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებას. მის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ამერიკის, შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, იტალიის, იაპონიის, აგრეთვე სხვა ქვეყნების ცნობილი მეცნიერების მოღვაწეები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, „მსოფლიო ლაბორატორიის“ საბჭოთა განყოფილების ხელმძღვანელი ე. პ. ველიხოვი.

სიმპოზიუმის მონაწილეები აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილს.

სიმპოზიუმის პროგრამა ვრცელი და მრავალფეროვანია.

დროა გადაჭრით უარყოთ გარკვეულ წრეებში ჯერ კიდევ გავრცელებული საშიში თეორია. თითქოს ომები სტიმულს აძლევს ტექნიკურ პროგრესს, განაცხადა — სიმპოზიუმის გახსნაზე გამოსვლისას მისმა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, იტალიელმა ფიზიკოსმა ანტონინო ძიკიმ. მხოლოდ მშვიდობიანი თანამშრომლობა უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ ნაყოფიერ განვითარებას.

## საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა

**მანაგუა.** 7 აგვისტოს გვატემალაში ცენტრალური ამერიკის ხუთი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ მიღწეული მორიგების ფარგლებში სალვადორის დედაქალაქში გაიხსნა აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა ამ რეგიონის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით. შეხვედრაში, რომელზეც განიხილავენ ცენტრალურ ამერიკაში სტაბილური და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების გზების თაობაზე გვატემალის მორიგებათა რეალიზაციის ღონისძიებებს, მონაწილეობენ გვატემალის, კოსტა-რიკის, ნიკარაგუისა და სალვადორის საგარეო პოლიტიკურ უწყებათა მეთაურები.

ჟურნალისტებთან საუბრისას ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ დესკოტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა წარმატებით განხორციელდეს გვატემალის შეთანხმება იმის მიუხედავად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს ჩაფუშოს რეგიონში მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი.

რეიგანის ადმინისტრაციამ, განაცხადა მ. დესკოტომ, აშკარად ობსტრუქციული პოზიცია დაიკავა გვატემალის შეხვედრის შედეგების მიმართ. როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, ამერიკის მთავრობა გფაციციებით ცდილობს არარად აქციოს ცენტრალური ამერიკის ხელმძღვანელთა შეხვედრის დროს მიღწეული პროგრესი. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში შეერთებული შტატების ელჩთა ამ დღეებში გამართული თათბირი. მათ მიეცათ მითითება შეტაკებინონ რეგიონის მთავრობებს, რომ თეორი სახლი უკმაყოფილოა გვატემალაში მიღწეული მორიგების გამო.

ნიკარაგუის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონალური კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებთან პოლიტიკური დიალოგის მოგვარებას. ამავე დროს მან უარყო ვაშინგტონის ცდები დაწყებინოს ნიკარაგუას მოლაპარაკება კონტრრევოლუციონერთა მეთაურებთან. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება, განაცხადა მ. დესკოტომ, უნდა წარმოებდეს ამერიკის მთავრობასთან, და არა დაქირავებულებთან, რომლებიც ვაშინგტონის ასიგნებებით არსებობენ და მის ბრძანებებს ასრულებენ.

## „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ“ ᲝᲓᲘᲣᲜᲙᲣᲠᲨᲘ

**პარიზი.** უჩვეულო ზეიმი გაიმართა გასულ კვირას საფრანგეთის პატარა ქალაქ ოდიუნკურში (დუს დეპარტამენტი). დეგმა მარი, სესილ და ანა ვუაზარებმა და მათმა ქმრებმა გადაიხადეს „ოქროს ქორწილი“.

ბუსტად ნახევარი საუკუნის წინათ ადგილობრივ მერიაში ერთდროულად რეგისტრაციაში გაატარეს სამი ქორწინება. საგულისხმოა, რომ დები ვუაზარების ქმრები თავის მხრივ ძმები არიან. ქალაქის ასობით მცხოვრებმა მიულოცა ბედნიერ ცოლ-ქმრებს, რომლებიც ხუთი ათწლეულია სიყვარულითა და სიამტკბილობით ცხოვრობენ.

## ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲙᲣᲞᲘ ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატებში ამზადებენ საკაბელო ტელევიზიით ჩვენებისათვის სპეციალური ფილმების სერიას, რომლებიც მაყურებელს გააცნობენ შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომს — დაავადებას, რომელიც ჯერჯერობით არ იკურნება. როგორც იუნიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთო იუწყება, პირველ გადაცემაში გამოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ქირურგი ედვერტ კუპი, რომელიც უარყოფს წინათ წამოყენებულ ჰიპოთეზას იმის თაობაზე, თითქოს ვირუსი ნერწყვით, ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობია.

დღეს, როცა გარდაქმნის სასიხარულო პროცესში ვუბრუნდებით ჩვენს წყაროს — საბჭოთა ქვეყნის პირველშენებელთა პრაქტიკასა და იდეალს, ვიბრუნებთ ადამიანურ ღირებულებებს, ასეთი წიგნი განსაკუთრებით გვჭირდება — ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების, მათი საუკეთესო წარმომადგენლების მაგალითი უნდა დაგვეხმაროს თანამედროვე განუწყვეტელ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

**ნ. მუსხელიშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

## ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

**ალჟირი.** გარდაია **ყველაზე დიდი ქალაქი, რომელიც ცნობილ „ხაჭარის პენტაპოლისად“ გადაქცა. მისი მცხოვრებნი საუკუნეთა მანძილზე მისდევდნენ ვაჭრობას, მეფინიკეობას, მებოსტნეობას, სხვადასხვა ხელოსნობას. აქაურ ბაზრებზე საკვებად ჩამოდიოდნენ არა მარტო ჩრდილოეთ ალჟირიდან, არამედ ნიგერიიდან და მალიდან, ხასი-მესაუდის ნავთობის საბადოების სიახლოვემ ათასობით ალჟირელი მიიზიდა ქვეყნის ჩრდილოეთიდან. დაიწყო მრეწველობის სწრაფი განვითარება. მილსაგლინავი ქარხნის გარდა გარდაიასა და ოთხ სხვა ქალაქში გაჩნდა პროფტექნიკური ცენტრები, კოლეჯები, რომლებიც მუშებსა და სპეციალისტებს ამზადებენ, წვრილწვრილი კერძო ფაბრიკები. „ხუთქალაქა“ ალჟირში ტურიზმის ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა. ფართოდ ჩაღდება საბინაო მშენებლობა, გარდაიის ბევრი სახლი ხომ რამდენიმე ასეული წლისაა, ქალაქის მოსახლეობა კი წლითიწლობით მატულობს. გარდაიაზე გადის ტრანსსაჰარის მაგისტრალიც.**

**სურათზე:** **გარდაიის ერთ-ერთი მოედანი შუადღისას.**

**(საკ.ფოტოქრონიკა).**

# ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓ

# დედაციხე ელის არქეოლოგს...

**საქართველოს** კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილების საფუძველზე 1982 წელს დაიწყო დედაქალაქის დედაციხის რესტავრაცია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა 1983-1986 წლებში გაეცნო დედაციხის რესტავრაციის პროექტს და მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოს. პროექტის განხილვისას თავიანთი სიტყვა თქვეს ხელოვნებათმცოდნეებმა, ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, არქიტექტორებმა, რესტავრატორებმა და სხვებმა.

მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ თბილისის დედაციხეზე კედელ-ბურჯების კონსერვაციის სამუშაოები ძირითადად მთავრდება. დასასრულებელია ძეგლის კომპოზიცია სილუეტის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე კი არსებითი მნიშვნელობა აქვს კედელ-ბურჯების შიდა აონგაბის გარკვევას, ციტადელის შიგნით მიწის ქვეშ არსებულ ნაგებობათა ნაშთებთან მათი კავშირურთიერთობის დადგენას. ნაგებობათა ნაშთები კი პრაქტიკულად დღემდე უცნობი რჩება ციტადელის გაუთხრელობის გამო.

უნდა ითქვას, რომ რესტავრაციის სამუშაოების დაწყებისთანავე ქალაქის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად დაისვა საკითხი, რომ რესტავრაციის პარალელურად საჭიროა გათხრებიც. ობიექტზე რამდენიმე წელია მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები, არქეოლოგიის ნიჩაბი კი ამ ხნის განმავლობაში დედაციხეს არ შეხებია. თბილისელ ენთუზიასტებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ნაწილობრივ გაიწმინდა განჯის კარის კოშკიდან აღმავალი დიდად შთამბეჭდავი სიიდუმლო გვირაბი, სადაც გათხრები საჭირო არ იყო, და საშუალება მოგვეცა გასამგრებელი სამუშაოები შეგვესრულებინა ძეგლის ავარიულ ნაწილებში, ზედა ციხის კედელ-ბურჯებზე, სამხრეთის მისადგომების დამცავ ორსართულიან და სამსართულიან კოშკებზე, განჯის კარის კოშკზე წავკისის წყალთან. გამაგრებულია ბოტანიკური ქუჩის კლდეზე გადმოკიდული კოშკიც. კლდოვანი რელიეფის განმტკიცების სამუშაო მიმდინარეობს მაღალი ციხის სამხრეთ კედელ-ბურჯებზე. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის დედაციხე და საერთოდ საქართველოს თითქმის ყოველი ძველი ციხე-სიმაგრე მომავალში განწყრუნელია დასაღუპავად, თუ ეროზიებულ კლდოვან საძირკვლებს არ მივხედავთ, თუ არ შევაჩერებთ კლდოვანი ქანების აქტიურ დაშლას, რომლებზეც აღმართულია ძეგლები. უძველეს ფუნქციადაკარგულ მიტოვებულ ციხესიმაგრეებს ასეული წლების მანძილზე საფუძველი ეცლებათ, აქტიური დაშლა იწყო ფუძე-საძირკვლებმა, ეს საკითხი ვერ გადაწყდება, თუ სპეციალური სამსახური არ დაემატება ძეგლთა დაცვის სისტემას.

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით 1983 წლის 15 სექტემბერს ვწერდით, რომ „დედაციხეზე უმდგომი გათხრები უაღრესად საჭიროა როგორც სარესტავრაციო სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე მისი გმირული ისტორიის წარმოსაჩენად. ვერა და ვერ აღდგა ის არქეოლოგიური გაერთიანება, რომელიც ათი-თხუთმეტი წლის წინათ მონდომებითა და წარმატებით უძღვებოდა თბილისის დედაციხის არქეოლოგიურ გათხრა-შესწავლას. არადა, თანხებიც გამოყოფილი იყო, ასე თუ ისე სატრანსპორტო საშუალებაც დამონტაჟდა ძეგლზე, არქეოლოგიური გათხრების ფიქსაციას განაზომების შესრულების თვალსაზრისით ხომ სრული გარანტია ჰქონდა და აქვს. ციტადელში შესრულებულმა ადრინდელმა გათხრებმა თვალსაჩინო ძეგლი გამოამზეურა გუშმათოვანი ტაძრის სახით და ამ ფაქტებმა ქართულ ისტორიოგრაფიაში წერილობითს წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმული დებულება გადაახალისა და სხვაგვარად დაგვანახა დედაქალაქის მონღოლობის დროინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამავე დროს სწორედ გათხრებმა შესძინა თბილისს კიდევ ერთი მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლი. დღეს, აღმოლის, შეიქმნა ტაძრის რესტავრაციის პროექტის შედგენის შესაძლებლობა.

მთელ რიგ არქიტექტურის ძეგლებში განსწავლული სპეციალისტის გამოცდილი თვალიც ყოველთვის ვერ განაშრეგებს შენების პერიოდებს, ვერ წარმოიდგენს ძეგლის თავდაპირველ სახეს, ხშირად მარტივი მიზეზის გამო ვერ მოხვდ[illegible] ძეგლის ესა [illegible] ის ელემენტი სპეციალისტ[illegible] არეში, ვერ [illegible]ყარდა სათანადო კონტაქტი ძეგლსა და სპეციალისტს შორის.

ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს (ვგულისხმობ, არც სხვებსა აქვთ) ისეთი ტექნიკური აღჭურვილობა, რომ გაუთხრელი არქეოლოგიური ფენებისა და სქელი და მკვიდრი კედლების მიღმა დავინახოთ და გავარჩიოთ მშენებლობის ნაშთები.

ძეგლის რესტავრაციის პროექტის შედგენის საფუძველი ემყარება ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული, იკონოგრაფიული და ა. შ. მასალებს, ხოლო რესტავრაციის პროექტის საფუძველთა საფუძველი, რასაკვირველია, ძეგლის ნატურაში კვლევაა ეგრეთ წოდებული საველე მუშაობის დროს. უნდა იყოს საშუალება, ადამიანის თვალის დონეზე კი არ აღვიქვათ ძეგლი, არამედ განკვრეტილ იქნეს მიწით დაფარული ქვედა ნაწილებიც და მიუწვდომელი ზედა ნაწილებიც. სწორედ ძეგლმა უნდა მოგვცეს ის უტყუარი, ნათელი მასალა, რომელზეც აიგება რესტავრაციის პროექტი. კამერალური მასალის ინტეგრირება ჯერ კიდევ ცოცხალ ძეგლთა მიმართებაში იძლევა საშუალებას განისაზღვროს რესტავრაციის მეთოდი. ძეგლის გახსნის ბედნიერ შემთხვევაში მიკვლეული მცირე ელემენტიც კი ხშირად საკვანძო საკითხს ჰფენს ხოლმე ნათელს. რიგ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ძეგლიდან ვიღებთ არასრულფასოვან და არასრულყოფილ ინფორმაციას, ვერ ვეცნობით ნატურაში არსებულ მასალას იმის გამო, რომ არ გვეძლევა საშუალება გავაცნობიეროთ არათუ მთელი გეგმარება, არამედ ესა თუ ის ელემენტიც. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ძეგლის რესტავრაცია ჭიანურდება. „გალმით დგას ძეგლი, გამოღმით — რესტავრატორი...“.

ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ არქეოლოგი ვერ დახატავს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მკაფიო სურათს, ვერ ააწყობს ნამსხვრევებად ქცეულ არქეოლოგიურ ნივთს, თუ მან გათხრის საშუალებით არ მოიპოვა სათანადო მასალა, არ გაიაზრა და სამზეოზე არ გამოიტანა იგი. სავსებით ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს არქიტექტორ-რესტავრატორებს. სრულფასოვანი რესტავრაცია ვერ მოხერხდება, თუ არ ამოვწიეთ დანალექი ქვა-ღორღისა და კულტურული ფენებიდან ძეგლი მით უმეტეს, კოშკლქსი.

დღეს, როდესაც არქეოლოგიურად სწავლობენ მნიშვნელოვან ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს და რომელთა შედეგებმა ნათლად დაგვანახვა ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე, გამოვლინდა ისტორიისა და კულტურის მრავალი შესანიშნავი ძეგლი, ზოგან სათანადო რესტავრაციის სამუშაოებიც წარმატებით შესრულდა და სრულდება (ნოქალაქევი, მცხეთა, უჯარმა, ბიჭვინთა და ა. შ.), ვფიქრობთ დადგა დრო აღდგეს დედაციხის არქეოლოგიური ექსპედიცია. ესოდენ მნიშვნელოვანი ანსამბლის სრულფასოვანი რესტავრაცია გათხრების გარეშე წარმოუდგენელია. უამისოდ ვერ წარმოვაჩენთ დედაციხის არქიტექტურულ-არქეოლ ო გ ი ურ სახეს. ვერ იქცევა იგი ტურისტულ ობიექტად, თბილისობის ზეიმიც დიდხანს ვერ აიტანს მხოლოდ რესტავრაციის პროცესის დემონსტრირებას.

**ტ. კიპაროიძე,**
**არქიტექტორ-რესტავრატორი.**

# ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲘᲔᲠᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ

**20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ** დილით თბილისში განახლდა საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა ლენინის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე. მანამდე კი სამი დღის განმავლობაში იგი გადაკეტილი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობიდან მეტრო „რუსთაველის“ სადგურამდე.

— ეს ლენინის ქუჩის ყველაზე ვიწრო მონაკვეთია, — თქვა თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გურამ დიდბარიძემ. — იგი უკვე დიდი ხანია თავს ვერ ართმევს ტრანსპორტის მზარდ ნაკადს. სწორედ ამიტომ გადაწყდა დანგრეულიყო საბლი, რომელშიც საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველო იყო. იგი დროებით გადატანილია წერეთლის პროსპექტზე № 67ა შენობაში.

სამი დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდნენ „ინჟმშენის“ ტრესტის № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სპეციალისტები. მათ რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეთავისუფლებინათ მონაკვეთი ტრანსპორტის მოძრაობისათვის, და ისე დაენგრიათ საბლი, რომ არ დაეზიანებინათ მახლობელი შენობები. და ეს შეძლეს.

რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის გეგმაზე გვესაუბრება ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილე მარლენ გაბაშვილი:

— სამუშაოები, რომლებიც ახლა წარმოებს, რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრის გენერალური რეკონსტრუქციის პირველი ეტაპია. პროექტს ამუშავებს „თბილისქალაქპროექტის“ ინსტიტუტი, ხოლო მოედნის მხატვრული გაფორმებისათვის პასუხისმგებლობა იკისრება ქალაქის მთავარ მხატვარს ოთარ ლითანიშვილს. დამთავრებამდე კიდევ ბევრი შრომა დაგვჭირდება, რათა სამი მეტრით გავფართოოთ სავალი ნაწილი დანგრეული შენობისა და ძველი ტროტუარის ხარჯზე. დავაგოთ ახალი ტროტუარი დარჩენილი საბლების პირველი სართულების ადგილას. სხვათა შორის, სატელეფონო ქსელის სამმართველოს შენობა მთლიანად არ დანგრეულა — დარჩა მისი საყრდენი კედელი. არსებობს მისი რესტავრაციის რამდენიმე ვარიანტი — ვერტიკალური გამწვანება, მოზაიკა, მოხატულობა. საბოლოო არჩევანი ჯერ არც ერთზე არ შეჩერებულა. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ „ცხოვრების საგზურს“ საუკეთესო პროექტი მიიღებს.

დღეს რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებსა და სტუმრებს შეუძლიათ იხილონ მხოლოდ მომავალი რეკონსტრუქციის კონტურები. გარემონტებული მოედანი და მისი მიმდებარე ქუჩა თბილისის იერს კიდევ ერთ კოლორიტულ შტრიხს შემატებს.

(საქინფორმი).

## „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲧᲐᲘᲛᲘ!...

თ. ᲥᲘᲥᲐᲕᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

# ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ

**მეგობარული** ინდოეთის კინოხელოვნების თაყვანისმცემლები მიიწვია თბილისის კინოთეატრმა „რუსთაველმა“. 19 აგვისტოს აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოში ინდიური ფილმების კვირეული, რომელიც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში ინდოეთის ეროვნული ფესტივალის ფარგლებში.

კვირეულის პროგრამაში საუკეთესო ფილმები, რომლებიც შექმნეს ბოლო წლებში ბომბეის, მადრასის, კალკუტის აღიარებული კინოცენტრების ეკრანის ოსტატებმა. ეს არის მწვავე კრიტიკული კინოლენტები ინდოეთის სოციალურ პრობლემათა შესახებ და ტრადიციული მელოდრამები. მათ შორის მხატვრული ფილმები „ღრუბელი — მაცნე“, „ახალი ცხოვრება“, „ბაზრის მოედანი“, „გულისცემა“ და სხვები.

კინოკვირეულში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოსულ ინდოელ კინემატოგრაფისტთა დელეგაცია ქართველ კოლეგებთან ერთად განიხილავს შემოქმედებით გეგმებს, დაესწრება ღონისძიებებს, დაათვალიერებს საწარმოებს, შეხვდება რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებლებს. (საქინფორმი).

# ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ...

**საქართველოს** ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სახალხო თეატრი წარმოადგენს საბჭოთა სამოყვარულო თეატრალური კოლექტივების ხელოვნების ჰოლანდიაში. 22 აგვისტოს ქალაქ უტრეხტში იხსნება საერთაშორისო ფესტივალი, სადაც თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ მსოფლიოს 20 ქვეყნის, მათ შორის იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვითმოქმედი დასები.

წლევანდელ ტრადიციულ დათვალიერებაში პირველად მონაწილეობენ საბჭოთა მხატვრული თვითმოქმედი ხელოვნების წარმომადგენლები.

25 აგვისტოს ჰოლანდიელი მაყურებლის, აგრეთვე თეატრალურ მოღვაწეთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა წინაშე, რომელიც ფესტივალის ფარგლებში იმართება, გამოვლენ თბილისელი სკენის ენთუზიასტები. ისინი უჩვენებენ რეჟაზ გაბრიაძის ნაწარმოების მიხედვით შექმნილ სპექტაკლს „სამოთხის ჩიტი, ანუ პირველი სიყვარული“. სპექტაკლი დადგა სტუდენტთა სახალხო თეატრის რეჟისორმა ნუგზარ ბუცხრიკიძემ. ქართველი სკენის მოყვარულები მონაწილეობას მიიღებენ ბოლო კონცერტშიც, რომელსაც ფესტივალის ორგანიზატორები აწყობენ დიპლომატიური კორპუსისათვის.

(საქინფორმი).

# ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

**ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲣᲚᲘ** ინდოეთის კინოხელოვნების თაყვანისმცემლები მიიწვია თბილისის კინოთეატრმა „რუსთაველმა“. 19 აგვისტოს აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოში ინდიური ფილმების კვირეული, რომელიც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში ინდოეთის ეროვნული ფესტივალის ფარგლებში.

კვირეულის პროგრამაშია საუკეთესო ფილმები, რომლებიც შექმნეს ბოლო წლებში ბომბეის, მადრასის, კალკუტის აღიარებული კინოცენტრების ეკრანის ოსტატებმა. ეს არის მწვავე კრიტიკული კინოლენტები ინდოეთის

# ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ...

25 აგვისტოს ჰოლანდიელი მაყურებლის, აგრეთვე თეატრალურ მოღვაწეთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა წინაშე, რომელიც ფესტივალის ფარგლებში იმართება, გამოვლენ თბილისელი სკენის ენთუზიასტები. ისინი უჩვენებენ რეჟაზ გაბრიაძის ნაწარმოების მიხედვით შექმნილ სპექტაკლს „სამოთხის ჩიტი, ანუ პირველი სიყვარული“. სპექტაკლი დადგა სტუდენტთა სახალხო თეატრის რეჟისორმა ნუგზარ ბუცხრიკიძემ. ქართველი სკენის მოყვარულები მონაწილეობას მიიღებენ ბოლო კონცერტშიც, რომელსაც ფესტივალის ორგანიზატორები აწყობენ დიპლომატიური კორპუსისათვის.

(საქინფორმი).

# ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

**„რუსთავის“** სახელმწიფო ანსამბლის სოლისტებმა ალეირსა და ტუნისში ერთი თვის გამოსვლების შემდეგ ლენინგრადში რამდენიმე კონცერტი გაუმართეს უცხოელ ტურისტებს. კოლექტივი კვლავ გზას ადგას — ქართველი მსახიობები ორი კვირით საგასტროლოდ ლიბანსა და სირიაში მიფრინავენ.

გამგზავრების წინ, საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ანსამბლის ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო არტისტს ანზორ ერქომაიშვილს და სთხოვა მოეთხრო წლევანდელი გასტროლების შესახებ.

— კოლექტივი კონცერტებს სამშობლოს ფარგლებს გარეთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ მართავს, — თქვა მან. — ეს ისტორიული თარიღი ჩვენს კონცერტებს განსაკუთრებულ შინაარსსა და მიმართულებას ანიჭებს: ჩვენ საზღვარგარეთელ მაყურებლებს მუსიკისა და ცეკვის ენით უნდა გავაცნოთ ქართველი ხალხის ისტორია და დღევანდელი ცხოვრება, მისი აყვავება ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის მოძმე კულტურებთან თანამეგობრობით.

სექტემბრის ბოლოს კოლექტივი მაროკოს ეწვევა, ხოლო ანსამბლის მომღერალთა და მოცეკვავეთა ჯგუფი — ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებს.

(საქინფორმი).

# ᲓᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

**დიდი** ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს პროფკავშირთა საბჭო და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი აცხადებენ ლიტერატურულ კონკურსს 1986-1987 წლებში გამოქვეყნებული საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც უნდა ასახავდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ხუთწლედის პერიოდში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებულ შრომას, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მაღალ მორალურ-პოლიტიკურ სახეს, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეურნეობრიობისა და მართვის სრულყოფისა და სიახლეთა დანერგვას, დრომოჯმუნლისა და მავნე გადმონაშთების უარყოფას, გარდაქმნებს, რომლებიც ხდება ჩვენს საზოგადოებაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

გამოცემული ნაწარმოებების საკონკურსოდ წარმოდგენა შეუძლიათ როგორც ავტორებს, ასევე ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, გამომცემლობებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსი ღიაა — მიიღება წიგნად (პირველი გამოცემა) გამოცემული ნაწარმოებები ორ ეგზემპლარად (ადრე პრემირებული ნაწარმოებები არ დაიშვება). გამარჯვებულთათვის დაწესებულია ერთი პირველი პრემია — 800 მანეთი; ერთი მეორე — 600 მანეთი; ერთი მესამე — 400 მანეთი; ერთი წამახალისებელი — 200 მანეთი.

პრემირებულ ავტორები დაჯილდოვდებიან აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო სიგელებით.

კონკურსზე ნაწარმოების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 1987 წლის 1 ოქტომბერი. შედეგები გამოქვეყნდება მიმდინარე წლის დეკემბერში.

საკონკურსო ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 380046, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა №19, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაყოფილება, ოთახი №67, „ლიტერატურული კონკურსისათვის“.

# ᲡᲐᲡᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** გთავაზობთ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეერთე ტურის მატჩების შედეგებს: „სპარტაკი“-„ზენიტი“ — 2:2, „დნეპრი“-„გურია“ — 3:1, „შახტიორი“-თბილისის „დინამო“ — 1:0, „ცსკა“-„არარატი“ — 1:0, „ყალგირისი“-„მეტალისტი“ — 2:0, მინსკის „დინამო“-„ტორპედო“ — 3:1, „ყაირათი“-„კიევის „დინამო“ — 1:1. დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებული:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 10 | 9 | 2 | 35-21 | 29 |
| „დნეპრი“ | 11 | 5 | 5 | 28-14 | 27 |
| „ყალგირისი“ | 11 | 5 | 5 | 30-19 | 27 |
| „შახტიორი“ | 8 | 7 | 6 | 20-18 | 23 |
| „ტორპედო“ | 7 | 9 | 5 | 20-16 | 23 |
| „არარატი“ | 10 | 1 | 10 | 23-30 | 21 |
| „დინამო“ მნ | 8 | 5 | 8 | 24-21 | 21 |
| „მეტალისტი“ | 8 | 5 | 8 | 17-21 | 21 |
| „დინამო“ კ | 7 | 7 | 6 | 24-14 | 21 |
| „დინამო“ მ | 6 | 9 | 6 | 15-17 | 21 |
| „ნეფთჩი“ | 7 | 6 | 8 | 25-21 | 20 |
| „ყაირათი“ | 7 | 4 | 10 | 17-26 | 18 |
| ცსკა | 6 | 5 | 9 | 18-24 | 17 |
| „ზენიტი“ | 4 | 8 | 9 | 17-29 | 16 |
| „დინამო“ თბ | 5 | 5 | 10 | 17-26 | 15 |
| „გურია“ | 3 | 6 | 11 | 10-28 | 12 |

**„ᲪᲣᲯᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ“** პრიზის საკავშირო გათამაშების ჯგუფური ტურნირები დასასრულს მიუახლოვდა. პირველ ქვეჯგუფში მოსპარეზე საქართველოს ფეხბურთელებმა (სოფელ დიდი ჯყონის გუნდი — „იმედი“) მეოთხე ტურში დაამარცხეს თურქმენეთის კოლექტივი ანგარიშით 3:0 და ამ ჯგუფის ლიდერები არიან. ამ დღეს მეორე ქვეჯგუფში მოსპარეზე თბილისის გუნდი („შატილი“) ისვენებდა. დღეს ქვეჯგუფში ბოლო მატჩები გაიმართება და გაირკვევა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც 8 უძლიერეს კოლექტივს შორის პრიზისათვის ბრძოლას განაგრძობენ.

**ᲤᲣᲐᲚᲛᲘᲜᲐᲠᲓᲝᲜᲐ.** საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე თავი ისახელეს საბჭოთა წყალმხტომელებმა: კოშკიდან ხტომაში მოსკოველმა ელენე მიროშინამ ოქროს მედალი მოიპოვა, მინსკელმა ანჟელა სტასიულევიჩმა კი ვერცხლისა, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში უძლიერესი იყო ტაშკენტელი სერგი ზაბოლოტნოვი. ამავე დისტანციაზე მეორე ადგილი წილად ხვდა ნოვოსიბირსკელ იგორ პოლიანსკის. კუბიშეველი სვეტლანა კუზმინა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა. სინქრონულ ცურვაში წყვილთა შორის ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ მოსკოველი ტატიანა ტიტოვა და ელექტროსტალელი ირინე ეუკოვა.

**მძლეოსნობა.** შვეიცარიის ქალაქ ციურიხში „გრან პრის“ სერიით გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე დონეცკელმა სერგი ბუბკამ ჯოკით ხტომაში 590 სანტიმეტრი დაძლია და პირველ ადგილს დაეუფლა. მოსკოველი იური სედიხი უძლიერესი იყო ურუს ტყორცნაში — 80 მეტრი და 2 სანტიმეტრი.

**ᲕᲐᲓᲠᲐᲪᲘ.** ერთი ტურიც და, იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში დამთავრდება ვაკთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრება. ბოლო, მეჩვიდმეტე ტურის წინ საბჭოთა მოჭადრაკემ იაან ელვესტმა დაამარცხა ინგლისელი ეტონი მაილისი, 10 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას მხოლოდ ნახევარი ქულით უსწრებს წინ ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), რომელსაც ამასთან ერთად 1 გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია)— 9,5 ქულა, იასერ სეირავანი („შშ), ხუღაინ გრანდა (პერუ), ზესუს ნოგეირასი (კუბა) — 9-9, იოანეფ პინტერი (უნგრეთი) — 8,5 (ასპარეზობა უკვე დაამთავრა), ლევ პოლუგაევსკი — 8, ვიაჩესლავ ეინგორნი — 7,5 ქულა და 1 დასამთავრებელი პარტია... ახლა მოჭადრაკენი გადადებულ პარტიებს გაითამაშებენ, შემდეგ კი ბოლო ტურის პარტიები გაიმართება და ამ ტურნირიდან პრეტენდენტთა ასპარეზობის სამი მონაწილის ვინაობაც გაირკვევა.

**რეგბი.** უმაღლესი ლიგის იმ გუნდებმა, რომლებიც პირველობისა ადგილებისთვის ბრძოლავენ, მორიგი ტურის მატჩები გამართეს. შედეგები ასეთია: მოსკოვის „სლავა“-კრასნოიარსკის „ენისკავატორტოა ე ს ტ რ ო ი“ — 15:9, ალმა-ათის ასკ-კიევის „ავიატორი“ — 15:13, სამხედრო-სპორტული აკადემიის გუნდი-ქუთაისის „მშენებელი“ — 9:6. აკადემიის გუნდი და „მშენებელი“ 57-57 ქულით გათამაშების ლიდერები არიან. „ავიატორს“ და „სლავას“ 56-56 ქულა აქვთ, ალმაათელებს — 54, კრასნოიარსკელებს — 50 ქულა.

**რედაქტორის მოადგილე**
**დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

## ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

**პირველი პროგრამა.** 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. უნგრული მულტიპლიკაციური ფილმი „ციყვ მიკის თავგადასავალი“. 17.30 — განცხადებები. 17.35 — მხატვრული ტანვარჯიში. სსრ კავშირის პირველობა და თასის გათამაშება. 18.20 — მოსწავლეთათვის. „ზრუნვა“. 19.00 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „დიზაინი-87“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 20.45 — „ხუთწლედის წახნაგები“. 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — თბილისის „დინამო“. მე-2 ტაიმის რეპორტაჟი დნეპროპეტროვსკიდან. 21.45 — „საბჭო მოქმედებს“ (ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო საზოგადოებრივი საბჭო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროგრამა“ (მ.). 22.50 — კომპოზიტორ გ. ცაბაძის შემოქმედებითი საღამო (განმეორებით).

**მეორე პროგრამა.** 15.35 — მხატვრული ფილმი „მთვარის ცისარტყელა“. 17.00 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ვირიმული სეზონი“ და „არტეკელები“. 18.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან“. 18.50 — მხატვრული ფილმი „მზე ჯიბეში“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვენეციის კარნავალი“. 20.55 — „საგასტროლო გზები“.

## ᲡᲐᲛᲨᲑᲐᲗᲘ, 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

**პირველი პროგრამა.** 7.00 — სატელევიზიო სელექტორული თამბირი სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხებზე. 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ბიჭუნეები“. 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გმირი, ლექსი, სიმღერა“. 18.40 — „ილიას სამი გამომცემელი“ (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის). 19.25 — მოამბე. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის — „საბჭოთა ტაჯიკეთი“. ტაჯიკეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: დონეცკის „შახტიორი“ — ლანჩხუთის „გურია“. 24 აგვისტოს შეხვედრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.45 — კონცერტი. „უკრავს ირაკლი ავალიანი“.

**მეორე პროგრამა.** 16.15 — მხატვრული ფილმი „არ დაიდარდო“. 17.45 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლევოვის ივანე ფრანკოს სახელობის უნივერსიტეტი“. 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გვალვის მიუხედავად“. 18.45 — განცხადებები. 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.25 — მოამბე. 20.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით“. 21.00 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 21.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალის კონცერტი“.

## ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

**პირველი პროგრამა.** 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი.